პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

კვირა, 22 თებერვალი, 1948 წ. № 38 (8082). ფასი 20 კაპ.

ხვალ, 23 თებერვალს, 30 წელი უსრულდება ჩვენს სახელოვან საბჭოთა არმიას—მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მტკიცე გუშაგს.

მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმითა და სიხარულით აღნიშნავს ამ თარიღს. ხალხი ახალ-ახალ წარმატებას უსურვებს თავის არმიას სტალინური სამხედრო ხელოვნების დაუფლების საქმეში, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

დიდება საბჭოთა ხალხის, მისი არმიის ყველა გამარჯვებათა სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს დიდ სტალინს!

## საბჭოთა შეიარაღებული ძალების ზეიმის დღე

30 წლის წინათ, 1918 წლის 23 თებერვალს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს გერმანელთა ურდოებს ფსკოვთან და ნარვასთან და დაამარცხეს ისინი. მას შემდეგ საბჭოთა ხალხი ყოველ წელიწადს ზეიმობს ამ დღეს, როგორც საბჭოთა არმიის დაბადების დღეს.

საბჭოთა არმიას 30 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში მან საბჭოთა ხალხთან ერთად, დიდი სტალინის გენიალური წინამძღოლობით, ბრძოლისა და გამარჯვების დიადი გზა განვლო.

საბჭოთა არმია, რომელიც სამოქალაქო ომის და უცხოელთა ინტერვენციის წლებში ყალიბდებოდა, განვლილ პერიოდში გადაიქცა მრისხანე, მსოფლიოში უძლიერეს არმიად. სტალინური ხუთწლედების მანძილზე მოპოვებულმა წარმატებებმა შესაძლებელი გახადეს, რომ ჩვენს ხალხს თავისი არმია აღეჭურვა პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკით, მიეცა მისთვის საჭურველი და სურსათი და, რაც მთავარია, სამხედრო ოსტატობას დაუფლებული კადრები.

საბჭოთა არმია მტკიცედ დგას ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე. ეს არმია, რომელიც შესდგება მუშებისა და გლეხების შვილებისაგან, ერთგულად იცავს ხალხის მშვიდობიან შრომას, ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას.

საბჭოთა არმიამ ბრწყინვალედ გაამართლა ხალხის ნდობა და ზრუნვა. ოცდაათი წლის მანძილზე მას არა ერთი და ორი შეტაკება მოუხდა მტრული კაპიტალისტური ქვეყნების არმიებთან. მან წარმატებით მოიგერია 1938 და 1939 წლებში იაპონელ აგრესორთა ცდები მოესინჯათ ჩვენი საზღვრების შეუვალობა. მან ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თეთრფინელთა წინააღმდეგ ბრძოლებში, რითაც უზრუნველჰყო ლენინის ქალაქის უშიშროება. მან პოლონელი პანების უღლისაგან გაათავისუფლა დასავლეთი უკრაინა და დასავლეთი ბელორუსია და დაუბრუნა ისინი თავიანთ დედა-სამშობლოს.

ბოლოს, საბჭოთა არმიამ მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მოიპოვა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ოთხი წლის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, ქედი მოახრევინა იაპონელ იმპერიალისტებს და ამრიგად, გაანადგურა აგრესიის ორი მძლავრი კერა. საბჭოთა ხალხმა, მისმა არმიამ კაცობრიობა იხსნა ფაშისტი ბარბაროსებისაგან.

საბჭოთა არმიის დიადი ძალის წყარო ის არის, რომ იგი არის ჭეშმარიტად სახალხო არმია, თავისუფალი მშრომელი ხალხის არმია, რომ იგი განასახიერებს საბჭოთა ხალხის მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას, ხალხთა სტალინურ მეგობრობას, რომ იგი ემსახურება სამართლიან საქმეს, ჩაგრულთა განთავისუფლებისა და თავისუფლების დაცვის საქმეს.

საბჭოთა არმიის დიადი ძალის წყარო ის არის, რომ მას მხარს უჭერს მთელი ჩვენი ხალხი. საბჭოთა ხალხი განუწყვეტლივ ზრუნავს თავისი არმიისათვის. დიდი სამამულო ომის დღეებში, მიუხედავად ყოველგვარი სიძნელეებისა, საბჭოთა ხალხი სასწაულებს ახდენდა, რათა მის არმიას არ მოჰკლებოდა საჭურველი, საომარი მასალა, ტანსაცმელი და სურსათი. მატერიალური დახმარების გარდა, საბჭოთა არმიის მეომარი თავისი ხალხისაგან იღებს დიდ მორალურ მხარდაჭერას, რაც განსაკუთრებული ძალით გამომჟღავნდა დიდი სამამულო ომის პერიოდში.

საბჭოთა არმიის დიადი ძალის წყარო ის არის, რომ იგი შეიარაღებულია ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეებით, რომ მას ხელმძღვანელობს ბოლშევიკური პარტია, დიდი ბელადი და მასწავლებელი, გენერალისიმუსი სტალინი.

ამხანაგი სტალინი ზრდის, აწრთობს, ხელმძღვანელობს საბჭოთა არმიას. ამხანაგ სტალინის მზრუნველობითა და მითითებით საბჭოთა ხალხმა შეუქმნა თავის არმიას პირველხარისხოვანი სამხედრო ტექნიკა. ამხანაგმა სტალინმა შექმნა ყველაზე მოწინავე სამხედრო მეცნიერება და შეაიარაღა მით საბჭოთა არმია. ამხანაგმა სტალინმა დარაზმა და აღაფრთოვანა საბჭოთა ხალხი და მისი არმია დიდ სამამულო ომში მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად. ამხანაგმა სტალინმა აღზარდა და გამოაწრთო საბჭოთა მხედართუფროსების შესანიშნავი კადრები, რომლებიც უნარიანად ახორციელებდნენ მტრის განადგურების ბრძნულ სტალინურ გეგმებს. ამხანაგმა სტალინმა ჩაუნერგა საბჭოთა მეომარს სამშობლოსადმი უანგარო სიყვარულის, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და ვაჟკაცობის კეთილშობილური თვისებები.

დიდი სტალინის წინამძღოლობით საბჭოთა არმიამ არა მარტო დაიცვა ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობა და ღირსება, არამედ ფაშისტური უღლისაგან გაათავისუფლა ევროპის დამონებული ხალხები.

ქართველი ხალხი, რომელიც დღეს საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად ზეიმობს ჩვენი სახელოვანი არმიის XXX წლისთავს, ამაყობს, რომ მის რიგებში მრავალმა ქართველმა გამოიჩინა მამაცობა და სამშობლოსათვის თავდადება, დაიმსახურა გმირობა და პატივისცემა.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, ჩვენი ხალხი დაუბრუნდა მშვიდობიან შრომას. საბჭოთა არმიის ოცდაათი წლისთავს იგი დიდი მიღწევებით ხვდება. წარმატებით შესრულებულია მეოთხე სტალინური ხუთწლედის ორი წლის გეგმა. ამჟამად ჩვენი ხალხი იბრძვის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. უკან მოვიტოვეთ ომისშემდგომი პერიოდის მთავარი სიძნელეები. ამას ადასტურებს ფულის რეფორმის გატარება და საბარათო სისტემის გაუქმება, რამაც პირობები შექმნა ჩვენი სახალხო მეურნეობისა და კულტურის ახალი მძლავრი განვითარებისათვის, მშრომელთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის.

საბჭოთა არმია კვლავ დგას თავისი ქვეყნის უშიშროების სადარაჯოზე, იცავს ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას. დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი მიგვითითებს, რომ „საბჭოთა არმია, ასრულებს რა მშვიდობიანი დროის პირობებში მის წინაშე დასახულ საბრძოლო სწავლის ამოცანებს, ვალდებულია ამასთანავე იაროს წინ და მოიპოვოს ახალი, უფრო მაღალი წარმატებანი საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში. ამას მოითხოვს ჩვენგან მშვიდობის განმტკიცების საქმე, ჩვენი სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის საქმე“.

ამჟამად, როცა ომის ახალი გამჩაღებლები აქტიურად ილაშქრებენ მშვიდობისა და დემოკრატიის წინააღმდეგ, საბჭოთა არმიის მეომართა ამოცანაა გააძლიერონ თავიანთი საბრძოლო და პოლიტიკური მზადება, კიდევ უფრო ღრმად აითვისონ დიდი სამამულო ომის გამოცდილება, იყვნენ ჩვენი სამშობლოს ღირსეული დამცველნი.

მთელი საბჭოთა ხალხი ზეიმობს თავისი გმირი არმიის ოცდამეათე წლისთავს და მის ბრწყინვალე წარმატებებს შრომითი საგმირო საქმეებით უპასუხებს. საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე ათასობით სტახანოველმა მუშამ და კოლმეურნემ საბჭოთა არმიის XXX წლისთავი აღნიშნა ახალი წარმატებებით.

მტრის ვერავითარი მუქარა ვერ შეაშინებს ჩვენს ხალხს, რომელსაც ჰყავს მძლავრი საბჭოთა არმია, რომელსაც სათავეში უდგას და წინ მიუძღვის საყვარელი ბელადი დიდი სტალინი.

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა არმიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხისა და მისი არმიის წინამძღოლს, ჩვენი გამარჯვებების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსს დიდ სტალინს!

## მოსკოვიდან გაემგზავრნენ უნგრეთის პრეზიდენტი ბ-ნი ზოლტან ტილდი და უნგრეთის მთავრობის დელეგაცია

21 თებერვალს მოსკოვიდან გაემგზავრა უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბ-ნი ზოლტან ტილდი პრეზიდენტის კაბინეტის უფროსის ბ-ნ ერნე მიხაიფის თანხლებით.

ამავე დროს მოსკოვიდან გაემგზავრა უნგრეთის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ლაიოშ დინიეშის, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეების ბ-ნ მატიას რაკოშისა და ბ-ნ არპად საკაშიჩის, საგარეო საქმეთა მინისტრის ბ-ნ ერიკ მოლნარის, თავდაცვის მინისტრის ბ-ნ პეტერ ვერეშის, წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის თავმჯდომარის ბ-ნ იშტვან დობისა და სხვა ოფიციალურ პირთა შემადგენლობით.

კიევის ვაგზალზე ბ-ნი ზოლტან ტილდი და უნგრეთის მთავრობის დელეგაცია გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ვ. მ. მოლოტოვმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. ე. ვოროშილოვმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ი. ა. ვლასოვმა, საბჭოთა კავშირის მარშალმა ა. მ. ვასილევსკიმ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ა. ი. ვიშინსკიმ, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილემ ა. დ. კრუტიკოვმა, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ტ. ა. სელივანოვმა, ქალაქ მოსკოვის კომენდანტმა გენერალ-ლეიტენანტმა კ. რ. სინილოვმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგემ ა. ა. ლავრიშჩევმა.

მიმავალნი აგრეთვე გააცილეს უნგრეთის რესპუბლიკის მოსკოვის მისიის წევრებმა დესპანის ბ-ნ დიულა სეკფიუს მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებულ მთელ რიგ საელჩოთა და მისიათა მეთაურებმა.

ამავე დროს მოსკოვიდან გაემგზავრა სსრ კავშირის დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი.

გაცილების დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა უნგრეთის რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

ვაგზალი მორთული იყო უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ალმებით.

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის საზღვრამდე ბ-ნ ზოლტან ტილდისა და უნგრეთის მთავრობის დელეგაციას აცილებენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი. (საკდესი).

## ბ-ნ ლაიოშ დინიეშის სიტყვა

მოსკოვიდან გამგზავრების წინ უნგრეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ლაიოშ დინიეშმა კიევის ვაგზალზე შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა:

მთელი დელეგაციის სახელით და პირადად ჩემგან უაღრესად გულწრფელ მადლობას მოვახსენებ საბჭოთა კავშირის მთავრობას იმ მეტად თავაზიანი, გულთბილი და გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, მეგობრობისა და პატივისცემის მრავალგზის გამოხატვისათვის, რასაც შევხვდით ჩვენი აქ ყოფნის განმავლობაში როგორც მთავრობის მხრივ, ისე საბჭოთა ხალხის მხრივაც. ეს ვიზიტი და მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელმოწერილი ხელშეკრულება უნგრეთის უახლესი ისტორიის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებს ეკუთვნის. უნგრეთის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლამ მოსკოვში პოლიტიკურად განამტკიცა უნგრეთის მდგომარეობა მშვიდობის ფრონტზე და უნგრეთის დემოკრატიას შეუმსუბუქებს ბრძოლას ანტიხალხური ძალების წინააღმდეგ. მთავრობის დელეგაციის წევრებისათვის აქ ჩამოსვლა დაუვიწყარი განცდა იყო. ჩვენს შორის მათ, ვინც პირველად ჩამოვიდა საბჭოთა ქვეყანაში, ახლა საკუთარი თვალით შესძლეს დაენახათ საბჭოთა კავშირის მიერ მიღწეული განსაცვიფრებელი წარმატებანი და საბჭოთა ხალხის გმირობისა და თავდადების შესანიშნავი შედეგები.

განვამტკიცეთ რა ჩვენი კავშირი მძლავრ საბჭოთა კავშირთან, და საბჭოთა ხალხისადმი მეგობრობისა და პატივისცემის გრძნობით კიდევ უფრო მეტად გამსჭვალულნი, ერთხელ კიდევ მოგესალმებით და გადმოგცემთ უნგრელი ხალხის მადლობას.

გაუმარჯოს მძლავრი საბჭოთა კავშირის ხალხსა და მთავრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების დიდ ბელადს გენერალისიმუს სტალინს!



## ი. ბ. სტალინმა სადილი გამართა უნგრეთის პრეზიდენტის ბ-ნ ზოლტან ტილდისა და უნგრეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

20 თებერვალს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა კრემლში სადილი გამართა უნგრეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბ-ნ ზოლტან ტილდისა და უნგრეთის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

სადილზე იყვნენ: ბ-ნი ზოლტან ტილდი, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი ლაიოშ დინიეში, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ბ-ნი მატიას რაკოში და ბ-ნი არპად საკაშიჩი, საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი ერიკ მოლნარი, თავდაცვის მინისტრი ბ-ნი პეტერ ვერეში, წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის თავმჯდომარე ბ-ნი იშტვან დობი, პრეზიდენტის კაბინეტის უფროსი ბ-ნი ერნე მიხაიფი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი პალ შებეშტიენი, უნგრეთის დესპანი სსრ კავშირში დიულა სეკფიუ, გენერალ-ლეიტენანტი დიერდ პალფი, გენერალ-მაიორი იმრე რადვანი, ბ-ნი დიერდ ჰელტაი და სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა კავშირის მხრივ სადილზე იყვნენ: ნ. მ. შვერნიკი, ვ. მ. მოლოტოვი, ა. ა. ჟდანოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. პ. ბერია, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ლ. მ. კაგანოვიჩი, ნ. ა. ვოზნესენსკი, ნ. ა. ბულგანინი, ი. ა. ვლასოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი, ა. ი. ვიშინსკი, ა. დ. კრუტიკოვი, ა. თ. გორკინი, დესპანი უნგრეთში გ. მ. პუშკინი, ვ. ა. სერგეევი, ავიაციის მარშალი კ. ა. ვერშინინი, ადმირალი ა. გ. გოლოვკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები ა. ა. ლავრიშჩევი, თ. თ. მოლოჩკოვი, ბ. თ. პოდცერობი.

სადილმა გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

(საკდესი).

## „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 100 წლისთავისათვის

### საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია

19 თებერვალს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ 100 წლისთავისადმი.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ცნობას, რომ პრეზიდიუმში არიან კ. მარქსის შვილიშვილი დოქტორი ედგარ ლონგე და მისი მეუღლე ქ-ნი ლონგე, რომელნიც სესიაზე საფრანგეთიდან ჩამოვიდნენ ინსტიტუტის მოწვევით.

შეკრებილებმა მოისმინეს ინსტიტუტის დირექტორის ამხ. ვ. ს. კრუჟკოვის მოხსენება — „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ ძირითადი იდეების განვითარება ლენინისა და სტალინის ნაშრომებში“.

შემდეგ ტრიბუნაზე ავიდა დოქტორი ედგარ ლონგე. იგი მიესალმა დამსწრეთ, ღრმა მადლობა გამოსთქვა იმისათვის, რომ საშუალება მიეცა განეხორციელებინა დიდი ხნის ოცნება საბჭოთა კავშირში ჩამოსვლის შესახებ და ილაპარაკა იმ დიდ ბედნიერებაზე, რომელიც მას წილად ხვდა — სიცოცხლეშივე ჩვენს ქვეყანაში განხორციელებული ეხილა ის საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა მისი პაპა.

დოქტორმა ე. ლონგემ ინსტიტუტს უძღვნა ოჯახური რელიკვიები: მისი დიდედის, მარქსის ცოლის — ჟენი მარქსის ჩვენთვის უცნობი პორტრეტი, ფ. ენგელსის ნაკლებად ცნობილი გრავიურული პორტრეტი, დაგეროტიპია, რომელზეც აღბეჭდილი არიან მარქსი ქალიშვილებით და ენგელსი, აგრეთვე მარქსის ორი ხელნაწერი, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს მის წერილს ცოლისადმი.

20 და 21 თებერვალს სესია მუშაობას განაგრძობდა. მოსმენილ იქნა მოხსენებები: „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება მარქსის ადრინდელ ნაშრომებში“, „კაპიტალისტური წყობილების ეკონომიური საფუძვლების კრიტიკა „მანიფესტში“, „მანიფესტის“ დაწერის ისტორია“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ რუსული თარგმანების ისტორიიდან“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გავლენა რუსული რევოლუციური აზროვნების განვითარებაზე“ და „კომუნისტური პარტიების ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისათვის“.

• • •

ინსტიტუტის კონფერენც-დარბაზში, სადაც სესიის სხდომები მიმდინარეობს, გაიხსნა კომუნიზმის ამ საპროგრამო დოკუმენტის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი გამოფენა. რუკაზე — „კომუნისტური პარტიის მანიფესტის“ გამოცემათა ადგილები“ — აღნიშნულია მსოფლიოს ყველა ის ქალაქი, სადაც „მანიფესტი“ დაბეჭდილა. ასი წლის განმავლობაში „მანიფესტი“ 349-ჯერ გამოიცა ჩვენს ქვეყანაში და 401-ჯერ მსოფლიოს 36 სხვა ქვეყანაში.

სტენდებზეა „მანიფესტის“ 500-ზე მეტი გამოცემა მსოფლიოს ხალხთა 71 ენაზე. მარქსისა და ენგელსის სიცოცხლეში გამოსულ გამოცემათა შორის არის დედანი პირველი გამოცემისა, რომელიც 1848 წლის თებერვალში დაიბეჭდა გერმანულ ენაზე ლონდონში.

უდიდეს ინტერესს წარმოადგენს „მანიფესტის“ 1869-დან 1905 წლამდე გამოსულ არალეგალურ რუსულ გამოცემათა უიშვიათესი კოლექცია. აქ არის ბაკუნინის მიერ 1869 წელს შესრულებული პირველი რუსული თარგმანი, პლეხანოვის მიერ 1882 წელს შესრულებული რუსული თარგმანი. როგორც ცნობილია, ამ გამოცემისათვის მარქსმა და ენგელსმა სპეციალური წინასიტყვაობა დასწერეს. (საკდესი).

# დიდი ხალხის დიდი არმია

## ოცდაათი წლის წინათ

1948 წლის 23 თებერვალს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს თავისი ერთგული დამცველის, მშობლიური საბჭოთა არმიის 30-ე წლისთავს.

ოცდაათი წლის წინათ, მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასმა ღარიბ გლეხობასთან კავშირში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაამხო კაპიტალიზმი და დაამყარა სახალხო, საბჭოთა ხელისუფლება, ლენინი და სტალინი — მშრომელთა დიდი ბელადები და მასწავლებლები, შეუდგნენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის შექმნას.

საბჭოთა რესპუბლიკა მაშინ ახალგაზრდა იყო და მხოლოდ პირველ ნაბიჯებს სდგამდა. იმპერიალისტი მტაცებლები ფიქრობდნენ, რომ საკმარისი იქნებოდა ერთი ძლიერი დარტყმა და საბჭოთა წყობილება დაინგრეოდა. 1918 წლის თებერვალში თავით ფეხამდე შეიარაღებული გერმანიისა და ავსტრიის არმიები შემოიჭრნენ ჩვენი სამშობლოს ფარგლებში. გერმანიის სარდლობამ განსაკუთრებით დიდი ძალები გადაისროლა პეტროგრადის — რუსეთის რევოლუციური დედაქალაქისაკენ. ლენინმა გამოაცხადა, რომ სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია და მოუწოდა მუშებს, გლეხებს, ახლადშობილი წითელი არმიის პოლკებს წინააღმდეგობა გაეწიათ მტრისათვის. 23 თებერვალს ფსკოვთან და ნარვასთან ახალგაზრდა რევოლუციური არმიის ნაწილებმა გადამწყვეტი ბრძოლა გაუმართეს გერმანელთა ურდოებს. გერმანიის იმპერიალიზმის ჯარების უკუგდების დღე — 23 თებერვალი — საბჭოთა ხალხის მიერ აღინიშნება როგორც წითელი არმიის დაბადების დღე.

## საბჭოთა არმიის სამი თავისებურება

ყველა წინათ არსებული არმია იყო გაბატონებული კლასების იარაღი თავიანთი ხალხების დასათრგუნავად, სხვისი მიწების დასაპყრობად და გასაძარცვავად. ასეთი იყო მეფის არმია, რომელიც სასტიკად უსწორდებოდა მუშებსა და გლეხებს და იცავდა მეფისათვის, კაპიტალისტებისათვის, მემამულეებისათვის ხელსაყრელ წესწყობილებას. ასეთია ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ყველა თანამედროვე არმიაც.

საბჭოთა არმია მსოფლიოში პირველი არმიაა, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ კი არ დაჩაგროს, არამედ დაიცვას ხალხი, ემსახუროს არა ბატონებს, არამედ განთავისუფლებულ მუშებსა და გლეხებს.

ამხანაგი სტალინი ამბობს, რომ საბჭოთა არმია ყველა სხვა არმიისაგან განსხვავდება სამი თავისებურებით. როგორია ეს თავისებურებანი? მისი პირველი და ძირითადი თავისებურებაა, რომ იგი არის განთავისუფლებული მუშებისა და გლეხების არმია, ოქტომბრის რევოლუციის არმია. მეორე თავისებურებაა, რომ იგი არის ჩვენი ქვეყნის ხალხთა ძმობის არმია, საბჭოთა კავშირის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის არმია. საბჭოთა არმიის მესამე თავისებურება ის არის, რომ იგი იზრდება ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, ყველა ქვეყნის მუშათა ინტერესების ერთიანობის სულისკვეთებით.

გასაგებია, რომ საბჭოთა არმია თავისი არსებობის პირველი დღეებიდანვე სარგებლობდა ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელთა სრული ნდობითა და უსაზღვრო მხარდაჭერით და მან უამრავი მეგობრები მოიპოვა მსოფლიოს ყველა ნაწილში.

ეს არის საბჭოთა არმიის დიად გამარჯვებათა ერთერთი უმთავრესი მიზეზი.

## საბჭოთა არმია ლენინისა და სტალინის გამოზრდილია

საბჭოთა არმიას ჰქმნიდნენ, ზრდიდნენ და აწრთობდნენ ლენინი და სტალინი.

სამოქალაქო ომის წლებში ინტერვენტებისა და თეთრგვარდიელების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი ხელმძღვანელობა მუშურ-გლეხური თავდაცვის საბჭოს ხელში იყო. თავდაცვის საბჭოს სათავეში ედგა ვ. ი. ლენინი. მისი მოადგილე იყო ი. ბ. სტალინი.

ლენინი და სტალინი წითელ არმიაში გზავნიდნენ პარტიის საუკეთესო ძალებს. სამოქალაქო ომის წლებში არმიის რიგებში გაიზარდნენ და გამოიწვრთნენ ახალი ტიპის სამხედრო ხელმძღვანელები. არმიის პოლიტიკურ განათლებაზე მუშაობდნენ გამოჩენილი ბოლშევიკი-მოღვაწეები.

ამხანაგი სტალინი იყო წითელი არმიის უმნიშვნელოვანეს გამარჯვებათა უშუალო ხელმძღვანელი და ორგანიზატორი. ცარიცინთან, პერმთან, პეტროგრადთან, დენიკინისა და იუდენიჩის ურდოების წინააღმდეგ, თეთრიპანების პოლონეთის არმიების წინააღმდეგ და, დასასრულ, ბარონ ვრანგელის ჯარების წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლებში, სამოქალაქო ომის ყველა უმნიშვნელოვანეს ბრძოლებში გამარჯვება მოპოვებული იყო პირადად ამხანაგ სტალინის მიერ დასახული გეგმებით.

როგორც კი რომელიმე ფრონტზე საშიშროება შეიქმნებოდა, ლენინი იქ გზავნიდა ყველაზე ერთგულ თავის მეგობარსა და თანამებრძოლს სტალინს. ამხანაგი სტალინი რაზმავდა კომუნისტებსა და უპარტიოებს და მასებზე დაყრდნობით რკინის ხელით ახშობდა მოღალატეთა შეთქმულებებს ზურგში და ფრონტზე. ამხანაგი სტალინი აძლიერებდა მეომართა საბრძოლო სულისკვეთებას და რევოლუციურ აღფრთოვანებას და გამარჯვებას აღწევდა.

მარტო გერმანელმა იმპერიალისტებმა როდი განიცადეს თავიანთ ზურგზე წითელი არმიის დარტყმები. ეს გამანადგურებელი დარტყმები განიცადეს ინგლისელმა, ფრანგმა, ამერიკელმა, იაპონელმა იმპერიალისტებმა და მათმა დამქაშებმა — თეთრგვარდიელმა გენერლებმა.

ბოლშევიკების პარტიამ დარაზმა საბჭოთა ხალხი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მონაპოვართა დასაცავად. მიუხედავად საჭურველისა და საომარი მასალის, ტანსაცმლისა და სურსათის ნაკლებობისა, საბჭოთა არმიამ 1918-1920 წლებში დასძლია უმაგალითო სიძნელეები და გაჭირვება, გაანადგურა საბჭოთა სახელმწიფოს მტრები და გარეკა ისინი ჩვენი ქვეყნის ფარგლებიდან.

## სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება

ლენინი და სტალინი აფრთხილებდნენ საბჭოთა ხალხს, რომ თეთრგვარდიელთა და ინტერვენტთა განადგურებით აღმოფხვრილი არ არის კაპიტალისტური სახელმწიფოების მხრივ ახალი სამხედრო თავდასხმების საფრთხე. აქედან დასკვნა: მშვიდობიან დროსაც მუდამ უნდა განვამტკიცებდეთ ჩვენი სამშობლოს სამხედრო ძლიერებას.

თავის ისტორიულ ფიცში, რომელიც ამხანაგმა სტალინმა ვ. ი. ლენინის სიკვდილის შემდეგ წარმოსთქვა საბჭოების მეორე ყრილობაზე, ბოლშევიკური პარტიის სახელით განაცხადა: „ლენინი არა ერთხელ მიგვითითებდა, რომ წითელი არმიის განმტკიცება და მისი მდგომარეობის გაუმჯობესება ჩვენი პარტიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მაშ, შევფიცოთ ამხანაგებო, რომ ჩვენ არ დავზოგავთ ძალებს იმისათვის, რათა განვამტკიცოთ ჩვენი წითელი არმია, ჩვენი წითელი ფლოტი!" (ი. სტალინი, „ლენინის შესახებ", გვ. 31).

სტალინური ხუთწლედების მანძილზე საბჭოთა ხალხმა, რომელსაც სათავეში ედგა ბოლშევიკური პარტია, ააგო მძლავრი სოციალისტური მრეწველობა, შექმნა მსხვილი კოლექტიური სოფლის მეურნეობა. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების ზრდასთან ერთად მტკიცდებოდნენ მისი შეიარაღებული ძალებიც. საბჭოთა არმიამ დაიწყო ჩვენი ქარხნების მიერ დამზადებული თვითმფრინავების, ტანკების, ქვემეხების, სასროლი იარაღის, საომარი მასალის მიღება.

ბოლშევიკების პარტიამ მთელი ძალები იხმარა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიული გარდაქმნის ტემპის დაჩქარებისათვის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უსწრაფესი ზრდისათვის. პარტიამ იცოდა, რომ დრო არ ითმენდა, რომ საჭირო იყო ჩვენი ქვეყნის უმოკლეს ვადაში მომზადება აქტიური თავდაცვისათვის. პარტიის პოლიტიკა სრული წარმატებით დაგვირგვინდა. მეორე მსოფლიო ომს საბჭოთა კავშირი შეხვდა მძლავრი სოციალისტური მრეწველობით და სოციალისტური სოფლის მეურნეობით. ჩვენ გვქონდა ყველაფერი, რაც საჭირო იყო ომისათვის და მტრის განადგურებისათვის!

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხმა მსოფლიოისტორიული წარმატებები მოიპოვა სოციალიზმის მშენებლობაში. ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები და მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია. სოციალიზმის დიადმა გამარჯვებებმა მკაფიო გამოხატულება ჰპოვეს სტალინურ კონსტიტუციაში. კაპიტალისტური საზოგადოების საწინააღმდეგოდ, რომელსაც სჯიჯგნის შეურიგებელი კლასობრივი და ეროვნული წინააღმდეგობანი, საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება შესდგება მხოლოდ მშრომელთაგან, რომლებიც დაკავშირებული არიან საერთო მიზნით, საერთო ინტერესებით. ამ ერთიანობის საფუძველზე გაიფურჩქნა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი. გასაგებია, რომ ეს დიდად უწყობდა ხელს სსრ კავშირისა და მისი შეიარაღებული ძალების ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

საბჭოთა მეომრები მტკიცედ დგანან საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის დასაცავად. საბჭოთა არმიამ გადამწყვეტი წინააღმდეგობა გაუწია იმპერიალისტებს, რომლებიც ცდილობდნენ მოესინჯათ მისი ბრძოლისუნარიანობა. ასე იყო, მაგალითად, 1938 წელს ხასანის ტბასთან და ერთი წლით უფრო გვიან ხალხინგოლთან, სადაც საბჭოთა ჯარებმა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეს იაპონელ მტაცებლებს. 1939 წელს წითელმა არმიამ სწრაფი მარშით გაიარა უკრაინისა და ბელორუსიის დასავლეთი ოლქები და ჰიტლერული დამონების საფრთხისაგან გაათავისუფლა ჩვენი ღვიძლი ძმები.

## საბჭოთა ხალხის დიდი გამარჯვება სამამულო ომში

მეორე მსოფლიო ომი საბჭოთა ხალხისა და მისი შეიარაღებული ძალების მკაცრი გამოცდა იყო.

გავიხსენოთ 1941 წლის ზაფხული. ჰიტლერული გერმანია მოულოდნელად და ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. მის განკარგულებაში იყო მთლიანად მობილიზებული არმიები და მის თანამონაწილეთა ჯარები. მისთვის მუშაობდნენ თითქმის მთელი დასავლეთი ევროპის სახელმწიფოები, რომლებიც დაიპყრო და დაიმონა გერმანიის ფაშიზმმა. გერმანელებს მეტი თვითმფრინავები და რამდენჯერმე მეტი ტანკები ჰქონდათ, ვიდრე ჩვენ. ფაშისტი მეთაურები ტრაბახით აცხადებდნენ, რომ მათი არმია უძლეველია და რომ რამდენიმე კვირის შემდეგ საბჭოთა კავშირი დამარცხებული იქნებოდა. გერმანიის არმია შიშს ჰგვრიდა ევროპის სახელმწიფოების არმიებს. საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის ბევრი აღიარებული სამხედრო „მცოდნე" ანგარიშობდა: რამდენხანს გაუძლებს კიდევ საბჭოთა არმია?.

ყველა ბურჟუაზიული „წინასწარმეტყველი" სამარცხვინოდ მოტყუვდა თავის წინასწარმეტყველებაში! საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა, რომელთაც ომის დასაწყისიდანვე სათავეში ედგა პირადად ამხანაგი სტალინი, არა მარტო გაუძლეს ჰიტლერული არმიის დარტყმებს, არამედ ხანგრძლივი და შეუპოვარი ბრძოლის შედეგად გაანადგურეს კიდევაც იგი.

ომის პირველი დღეებიდანვე ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა საბჭოთა ადამიანებს შეეგნოთ იმ საშიშროების მთელი სიღრმე, რომელიც ჩვენს სამშობლოს ემუქრებოდა. საქმე ეხებოდა საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილ-სიცოცხლეს, საქმე ეხებოდა იმას — თავისუფალი უნდა ყოფილიყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში ჩავარდნილიყვნენ.

ამხანაგ სტალინის მოწოდებით ყველა საბჭოთა ადამიანი აღსდგა წმინდა სამამულო ომისათვის საბჭოთა სამშობლოს ღირსების, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხმა, დიდი რუსი ხალხის მაგალითის მიხედვით, საბჭოთა არმიაში გაგზავნა თავისი საუკეთესო შვილები და მისცა განაწესი — არ დაეზოგა ძალები და სიცოცხლე მტრის გასანადგურებლად. სამშობლოს დაცვის ამ წმინდა საქმესვე ახმარდნენ თავიანთ ძალებს ზურგის მშრომელნი.

როგორც ფრონტზე, ისე ზურგში ყველაზე წინ კომუნისტები იდგნენ. ლენინ-სტალინის პარტიამ საბჭოთა ხალხი აღაფრთოვანა და დარაზმა საყოველთაო-სახალხო ბრძოლისათვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. მთელი ჩვენი ქვეყანა გადაიქცა ერთიან საბრძოლო ბანაკად.

მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები დღედაღამ სჭედდნენ იარაღს არმიისა და ფლოტისათვის. მუშათა კლასისა და ინტელიგენციის თავდადებული შრომის მეოხებით ფაშისტ დამპყრობთა წინანდელი რაოდენობრივი უპირატესობა ტანკებსა და თვითმფრინავებში ლიკვიდირებულ იქნა. კოლმეურნეთა თავდადებულმა შრომამ უზრუნველჰყო არმია და ქალაქები სურსათით, მრეწველობა — სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით.

საბჭოთა ჯარები არაჩვეულებრივი სიმტკიცითა და გმირობით იბრძოდნენ შეჯავშნულ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ. ისინი იძულებული იყვნენ ომის პირველ ეტაპზე უკან დაეხიათ, მაგრამ უკანდახევისას ისინი შეუპოვრად და აქტიურად იცავდნენ თვითეულ ქალაქსა და თვითეულ სოფელს. ჩვენი ჯარები აიძულებდნენ შემოტევაზე გადმოსულ გერმანელებს სისხლით დაცლილიყვნენ, დაეკარგათ აუარებელი საბრძოლო ტექნიკა. ხოლო გერმანელთა ზურგში ჩაღდებოდა პარტიზანული ომის ხანძარი. პარტიზანები წმიდად ასრულებდნენ ამხანაგ სტალინის მითითებებს და სიცოცხლეს უმწარებდნენ ჰიტლერელებს.

ომის ყველაზე მძიმე დროს, როცა მტერი იდგა ლენინგრადის კედლებთან, შეიჭრა დონბასში, მიაღწია მოსკოვის შორეულ მისადგომებს, ამხანაგმა სტალინმა ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნიდან მიმართა საბჭოთა მეომრებს აღმაფრთოვანებელი მოწოდებით: „დაე გფარვიდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა!".

დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშით, დიდი სტალინის წინამძღოლობით გმირმა საბჭოთა არმიამ, სამხედრო-საზღვაო ფლოტმა, პარტიზანებმა ღირსეულად მოიხადეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე.

ჩვენი მეომრების მორალურმა სულმა, მათმა სიმტკიცემ, გამბედაობამ და სიმამაცემ გადააჭარბა ყოველივეს, რაც კი ომების ისტორიაში ყოფილა. საბჭოთა პატრიოტიზმი, სოციალისტური სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულის გრძნობა წარმოშობდა მასობრივ გმირობას. გადახედეთ საბჭოთა კავშირის გმირების სიებს — იქ თქვენ ნახავთ რუსების, უკრაინელების, ბელორუსების, აზერბაიჯანელების, ქართველების, სომხების, უზბეკების, ტაჯიკების, თურქმენების, ყაზახების, ყირგიზების, კარელების, ლიტველების, ლატვიელების, ესტონელების, ებრაელების, მორდვების, თათრების, ოსების, ბაშკირების, უდმურტების, კომის, ბურიატების, ჩუვაშების, მარელების და სსრ კავშირის მრავალი სხვა ხალხის წარმომადგენელთა სახელებს.

მხოლოდ საბჭოთა არმიისა და პარტიზანების გმირობამ, ზურგში საბჭოთა პატრიოტების თავდადებულმა შრომამ და უმაღლესი მთავარსარდლის, პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ბელადის ამხანაგ სტალინის სწორმა ხელმძღვანელობამ დასძლიეს გიგანტური სიძნელენი ჰიტლერული ურდოების შემოსევისათვის წინააღმდეგობის გაწევაში. ამხანაგი სტალინი უდიდესი სიამაყით საბჭოთა ქვეყნისათვის, საბჭოთა ხალხისა და მისი არმიისათვის ამბობდა:

„მე ვფიქრობ, რომ ვერც ერთი სხვა ქვეყანა და ვერც ერთი სხვა არმია ვერ შესძლებდა გაეძლო გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა და მათ მოკავშირეთა გამხეცებული ბანდების ასეთი შემოტევისათვის. მარტო ჩვენს საბჭოთა ქვეყანას, და მარტო ჩვენს წითელ არმიას შეუძლიათ გაუძლონ ასეთ შემოტევას, და არა მარტო გაუძლონ, არამედ დასძლიონ კიდევაც იგი". (ი. სტალინი. „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ", გვ. 69).

საუკუნოდ დარჩებიან ხალხის ხსოვნაში გმირები, რომლებიც იცავდნენ ოდესასა და სევასტოპოლს, ლენინგრადსა და სტალინგრადს. საუკუნოდ იკაშკაშებს მოსკოვისათვის ბრძოლის გმირთა დიდება — უდიდესი ბრძოლისა, რომელშიც საბჭოთა არმიამ პირველი დიდი დამარცხება აგემა გერმანელთა ურდოებს და გააცამტვერა ზღაპარი ჰიტლერული არმიის უძლეველობის შესახებ. არასოდეს არ იქნება დავიწყებული საბჭოთა ჯარების გამარჯვება სტალინგრადთან. აქ გერმანელებს ისეთი გამანადგურებელი ძალის ლახვარი ჩასცეს, რომლის შემდეგაც მათ ვეღარ შესძლეს წელში გამართვა. დაიწყო მტრის განდევნა ჩვენი მიწა-წყლის ფარგლებიდან, რაც დამთავრდა ფაშისტური ავაზაკური სახელმწიფოების და მათი მეთაურის ჰიტლერული გერმანიის სრული განადგურებით.

## განმათავისუფლებელი არმია

საბჭოთა არმიამ გარეკა გერმანელები ჩვენი მიწა-წყლის ფარგლებიდან, ოკუპანტთა ჩაგვრისაგან გაათავისუფლა დროებით ოკუპირებული რაიონების მოსახლეობა და მტრის წინააღმდეგ ბრძოლა გადაიტანა დასავლეთში. ჩვენს გმირებს — ჯარისკაცებს, მატროსებს, ოფიცრებს, გენერლებს, ადმირალებს—ახსოვდათ ამხანაგ სტალინის სიტყვები, რომ საბჭოთა არმიის წმიდა ამოცანაა ავაზაკური ფაშიზმის სრული განადგურება და ევროპის ხალხთა განთავისუფლება ფაშისტური მონობისაგან.

პოლონელები, ჩეხები, სლოვაკები, ბულგარელები, იუგოსლავები. მოძმე სლავური ხალხების შვილები — სიხარულითა და აღტაცებით ეგებებოდნენ თავის მხსნელს, სახელოვან საბჭოთა არმიას.

სამი წლის მანძილზე საბჭოთა არმია მარტოდმარტო ებრძოდა ჰიტლერული გერმანიისა და მის თანამონაწილეთა ურდოებს. ინგლისის მთავრობის მეთაური ჩერჩილი და მისი ამერიკელი მეგობრები განზრახ აჭიანურებდნენ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნას. მათ იმედი ჰქონდათ, რომ საბჭოთა და გერმანიის ჯარები დაასუსტებდნენ ერთმანეთს და მაშინ ინგლისისა და ამერიკის იმპერიალისტები მივიდოდნენ ევროპაში და ყველას უკარნახებდნენ თავიანთ ნებას. მაგრამ ისინი მოტყუვდნენ. საბჭოთა კავშირის ძალები ომის მსვლელობაში არა თუ სუსტდებოდნენ, არამედ, პირიქით, იზრდებოდნენ.

როცა ცხადი გახდა, რომ საბჭოთა არმიას თვითონ შეეძლო დაეკავებინა გერმანია და გაეთავისუფლებინა მთელი ევროპა, მათ შორის საფრანგეთიც, — მაშინ ინგლისელები და ამერიკელები დაეშურნენ მეორე ფრონტის გახსნას. მაგრამ საფრანგეთის, ბელგიის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების მშრომელებმა იციან, რომ მათი ბედი სწყდებოდა მოსკოვთან და ლენინგრადთან, სევასტოპოლთან, სტალინგრადთან, კურსკთან. მათ იციან, რომ ისინი საბჭოთა არმიამ იხსნა.

1945 წლის 2 მაისს საბჭოთა მეომრებმა გაანადგურეს გერმანიის ჯარები, რომლებიც ბერლინს იცავდნენ და გერმანიის დედაქალაქზე აღმართეს გამარჯვების დროშა.

სამი თვის შემდეგ საბჭოთა არმიამ თავისი იარაღი მიაბრუნა ჩვენი სამშობლოს და თავისუფლებისმოყვარე კაცობრიობის მეორე უბოროტესი მტრის — იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ. მოკლე ხნის განმავლობაში საბჭოთა ჯარებმა სასტიკად დაამარცხეს იაპონიის რჩეული არმიები. იაპონიამ კაპიტულაცია მოახდინა.

ამრიგად, საბჭოთა კავშირს ამიერიდან აღარ ემუქრება გერმანიის შემოსევის საფრთხე დასავლეთიდან და იაპონიისა — აღმოსავლეთიდან.

დასავლეთში და შორეულ აღმოსავლეთში ჩვენმა ჯარებმა ღირსეულად გაატარეს ჩვენი თავისუფალი სოციალისტური სახელმწიფოს დროშები. 1948 წლის 23 თებერვალს საბჭოთა არმიის 30-ე წლისთავს ჩვენს ხალხთან ერთად იდღესასწაულებს ფაშისტური ბარბაროსებისაგან მის მიერ განთავისუფლებული ყველა ხალხი. ამ დღეს ბევრ ენაზე წარმოითქმება სამადლობელი შეძახილები: „დიდება საბჭოთა არმიას—განმათავისუფლებელ არმიას! დიდება გენერალისიმუს სტალინს!".

## დიდი სტალინის წინამძღოლობით

ომის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ ვაიასლავ, მიხეილის-ძე მოლოტოვმა, გამოხატავდა რა ყველა საბჭოთა პატრიოტის გრძნობასა და აზრს, სთქვა: „ეს ჩვენი ბედნიერებაა, რომ ომის მძიმე წლებში წითელ არმიას და საბჭოთა ხალხს წინ მიუძღოდა საბჭოთა კავშირის ბრძენი და ნაცადი ბელადი—დიდი სტალინი. გენერალისიმუს სტალინის სახელით ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და მსოფლიო ისტორიაში შევა ჩვენი არმიის სახელოვანი გამარჯვებანი".

გენიალურმა მხედართმთავარმა ამხანაგმა სტალინმა შემდგომ განავითარა მოწინავე საბჭოთა სამხედრო მეცნიერება. ამხანაგმა სტალინმა შეიმუშავა დებულება მუდმივი მოქმედი ფაქტორების შესახებ, რომლებიც სწყვეტენ ომის ბედს, აქტიური თავდაცვისა და კონტრშეტევისა და შეტევის კანონების შესახებ, ჯარების გვარეობის და საბრძოლო ტექნიკის თანამოქმედების შესახებ ომის თანამედროვე პირობებში, თანამედროვე ომში ტანკებისა და ავიაციის დიდი მასების როლის შესახებ, არტილერიის, როგორც ჯარების ყველაზე მძლავრი გვარეობის შესახებ. ომის სხვადასხვა ეტაპზე სტალინის გენია პოულობდა სწორ გადაწყვეტილებას, რომელიც სავსებით ითვალისწინებდა ვითარების თავისებურებებს. ამხანაგი სტალინი მოითხოვდა, რომ საბჭოთა მეომრები მთლიანად დაუფლებოდნენ საბრძოლო ტექნიკას, რომელსაც ხალხი ამზადებდა მტრის გასანადგურებლად. ამხანაგი სტალინი მოითხოვდა ოფიცრებისა და გენერლებისაგან ბრძოლის ველზე ჯარების მართვისა და ყველა სახის ჯარის თანამოქმედების სრულყოფას. ამის მეოხებით ომის მიმდინარეობაში იზრდებოდა ოსტატობა, იზრდებოდა ჩვენი არმიისა და ჩვენი ფლოტის ძლიერება.

„სამშობლოს წინაშე ამხანაგ სტალინის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მან შესძლო სამამულო ომის დროს შეერჩია, აღეზარდა და პასუხსაგებ პოსტებზე დაეწინაურებინა ახალი ხელმძღვანელი სამხედრო კადრები, რომლებმაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს გერმანიისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ ომის მთელი სიმძიმე. ასეთები არიან: ბულგანინი, ვასილევსკი, კონევი, გოვოროვი, ჟუკოვი, ვატუტინი, ჩერნიახოვსკი, ანტონოვი, სოკოლოვსკი, მერეცკოვი, როკოსოვსკი, მალინოვსკი, ვორონოვი, ტოლბუხინი, იაკოვლევი, მალინინი, გალიცკი, ტროფიმენკო, გორბატოვი, შტემენკო, კურასოვი, ვერშინინი, გოლოვანოვი, ფედორენკო, რიბალკო, ბოგდანოვი, კატუკოვი, ლელიუშენკო და მრავალი სხვა" (ი. ბ. სტალინი. მოკლე ბიოგრაფია. გვ. 217).

ამხანაგი სტალინი, როგორც თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე, ხელმძღვანელობდა აგრეთვე ჩვენი ზურგის მთელ მრავალფეროვან მუშაობას, უზრუნველჰყო მისი სრული გარდაქმნა სამხედრო ყაიდაზე. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობის მეოხებით მთელი საბჭოთა ქვეყანა გადაიქცა ერთიან საბრძოლო ბანაკად.

„სტალინისათვის! სამშობლოსათვის!" — ასეთი ლოზუნგით სჭედდნენ მტერზე გამარჯვებას საბჭოთა ადამიანები ზურგში და ფრონტზე.

და ჩვენ გავიმარჯვეთ.

## სსრ კავშირი ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე

სამამულო ომში ჩვენი გამარჯვება უწინარეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვა საბჭოთა საზოგადოებრივმა წყობილებამ. შემდეგ, იგი იმას ნიშნავს, რომ გაიმარჯვა საბჭოთა სახელმწიფოებრივმა წყობილებამ.

როგორც ომის შედეგებმა ცხადჰყო, საბჭოთა არმია თავისი დიდი ამოცანების სიმაღლეზე აღმოჩნდა. ომმა ცხადჰყო, რომ იგი არის ჩვენი დროის პირველხარისხოვანი არმია, რომელსაც მოეპოვება სავსებით თანამედროვე შეიარაღება, უაღრესად გამოცდილი მეთაურთა შემადგენლობა და მაღალი მორალურ-საბრძოლო თვისებები. ჩვენი არმია ასეთი გახდა საბჭოთა ხალხის, კომუნისტური პარტიის, ამხანაგ სტალინის განუწყვეტელი ზრუნვის მეოხებით.

ლენინი და სტალინი ასწავლიან საბჭოთა ადამიანებს, ასწავლიან ბოლშევიკებს — პარტიულებსა და არაპარტიულებს, არ იყოყოჩონ, განამტკიცონ ის, რაც მოპოვებულია და წავიდნენ წინ.

საბჭოთა არმია ახორციელებს ამხანაგ სტალინის მითითებებს და ახლა ბეჯითად სწავლობს მეორე მსოფლიო ომის გამოცდილებას, სრულჰყოფს სამხედრო საქმეს, აუმჯობესებს თავის საბრძოლო ოსტატობას. საბჭოთა არმიის მეომრები მტკიცედ დგანან თავისი ხალხის მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის საგუშაგოზე, სსრ კავშირის სახელმწიფო ინტერესების საგუშაგოზე.

თანამედროვე საერთაშორისო ვითარება მოითხოვს ჩვენი სიფხიზლის შემდგომ გაძლიერებას.

ომის შემდეგ დედამიწის ზურგზე შეიქმნა ორი მოწინააღმდეგე ბანაკი. ერთ ბანაკში არიან საბჭოთა კავშირი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, ყველა ქვეყნის თავისუფლებისმოყვარე ადამიანები. ეს ბანაკი, რომელსაც სათავეში საბჭოთა კავშირი უდგას, იბრძვის მტკიცე და სამართლიანი მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ომებს წარმოშობს. მეორე ბანაკში არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი და სხვა კაპიტალისტური ქვეყნები. ამ ბანაკს, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ, არ სურს სამართლიანი მშვიდობა, იბრძვის დემოკრატიის წინააღმდეგ, ამერიკელ მილიარდერთა მსოფლიო ბატონობისათვის.

ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები მეორე მსოფლიო ომში თავიანთ განსაკუთრებულ მიზნებს ისახავდნენ. მათ სრულიადაც არ სურდათ ფაშიზმის სრული განადგურება. მათი ამოცანა იყო მსოფლიო ბაზრებიდან გერმანიის კაპიტალის განდევნა და ამ ბაზრების დაპყრობა. წინათ მსოფლიო ბატონობისათვის იბრძოდა გერმანიის ავაზაკური იმპერიალიზმი. ახლა მსოფლიო ბატონობაზე პრეტენზიას აცხადებს ამერიკის მტაცებლური იმპერიალიზმი. იგი ცდილობს დაიმონოს მთელი მსოფლიო. იგი ემუქრება ხალხებს ახალი ომით.

მაგრამ იმპერიალისტების სურვილსა — გააჩაღონ ახალი ომი—და ასეთი ომის მოწყობის შესაძლებლობას შორის დიდი მანძილია. ანტიიმპერიალისტური, დემოკრატიული ბანაკის ძალები უფრო ძლიერია, ვიდრე იმპერიალისტური ბანაკის ძალები. იზრდება საბჭოთა კავშირის ძლიერება. გაიზარდნენ და განმტკიცდნენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებმაც თავი დააღწიეს იმპერიალისტურ სისტემას. დიდად გაიზარდა კომუნისტური პარტიების გავლენა საზღვარგარეთის ქვეყნებში. ეს პარტიები თავიანთ რიგებში ითვლიან მილიონობით კომუნისტებს. კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები მამაცურად იბრძვიან იმპერიალისტების წინააღმდეგ თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

მსოფლიოს ხალხებმა ბევრი რამ ისწავლეს მეორე მსოფლიო ომში. მათ არ სურთ ომის საშინელებათა განმეორება. ისინი არავის მისცემენ ნებას აბუჩად აიგდონ მათი დამოუკიდებლობა. მათ იციან, რომ ახალი, ამერიკელი მონათმფლობელები შეიძლება გაიგზავნონ იქითვე, საითკენაც გაგზავნეს უბადრუკი ჰიტლერელი მონათმფლობელები. საქმე მარტო ის არის, რომ ხალხები არ დაშინდნენ, რომ ისინი დაირაზმონ. მაშინ ამერიკელ იმპერიალისტთა და მათ დამქაშთა დამპყრობლური გეგმები ჩაიფუშებიან.

საბჭოთა კავშირი მთელი სიმტკიცითა და შეურიგებლობით იბრძვის მშვიდობის მტრების წინააღმდეგ, ააშკარავებს ახალი ომის გამჩაღებლებს, ნიღაბს ხდის მათ. სსრ კავშირის საერთაშორისო გავლენა დღითი-დღე იზრდება. მთელი მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები სოციალისტური სახელმწიფოს სახით ხედავენ მშვიდობისა და დემოკრატიის საიმედო დასაყრდენს, ყველა ჩაგრულისა და ექსპლოატირებულის დამცველს, ყველა იმათ დამცველს, ვინც იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძვის.

## კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ

რაც უფრო მძლავრი და ძლიერი იქნება ჩვენი ქვეყანა, მით უფრო მტკიცე და ხანგრძლივი იქნება მოპოვებული მშვიდობა. საბჭოთა ადამიანებს შეგნებული აქვთ ეს და თავდადებულად შრომობენ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის. საბჭოთა პატრიოტებს ახსოვთ, რომ ხუთწლედის ძირითად ამოცანათა შორის არის სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის შემდგომი ამაღლებისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვის უზრუნველყოფის ამოცანა.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ხალხებმა უკვე დიდი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში. ჩვენმა მრეწველობამ მთლიანად შეასრულა ომისშემდგომი ხუთწლედის პირველი ორი წლის გეგმა. 1947 წლის დამლევს სამრეწველო წარმოებამ ჩვენს ქვეყანაში ომამდელ 1940 წლის დონეს მიაღწია. ომამდელ დონეს მიაღწია 1947 წელს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობამაც. ფულის რეფორმა და საბარათო სისტემის გაუქმება ძალსწავებს საბჭოთა ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებას და მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდას.

მტკიცედ და რწმენით, ნაცადი და ბრძენი ბოლშევიკური პარტიის მეთაურობით, დიდი ბელადისა და მასწავლებლის, ჩვენი გამარჯვებების შთაგონებლისა და ორგანიზატორის ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ჩვენი ხალხი მიდის წინ, კომუნიზმისაკენ! ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიან შრომას, კომუნისტურ მშენებლობას ფხიზლად იცავს მძლავრი საბჭოთა არმია.

**იოსებ ნონეშვილი**

## მეომრული სიმღერები

1.

ნაბიჯნაბიჯ ვთხრიდით სანგრებს,
სანგრებს — სისხლის ღარებს,
ჩვენს ხიშტებზე დილა იდგა,
მტრის ხიშტებზე ღამე.
მტრის დროშაზე სჩანდა ორად
დაგრეხილი გველი,
ჩვენს დროშაზე ჩაქუჩ-ნამგალს
გადაეჭდოთ ყელი.
და უყვარდა პოლკის დროშა
სიცოცხლეზე მეტად
ხარატსა თუ მევენახეს,
კეთილ გუთნის დედას.
მისი კალთა იფარავდა
გმირთა მკერდის ფიცარს.
ო, რამდენმა წმიდა სისხლი
შეუერთა მიწას,
რომ გვეხილა შუქნათელი
გაზაფხულის დარი,
რომ ბერლინში შესულიყო
პოლკის ალამდარი.

2.

სად ხარ, ძმაო, ჩვენ სიმღერა
ერთად უნდა გვეთქვა.
ტყვიამ როგორ ჩააჩუმა
შენი გულის ფეთქვა?!
თებერვალი მიიწურა,
მარტი კარებს აღებს,
მზემ ღიმილით გადმოჰხედა
ქართლ-კახეთის ბაღებს.
მაგრამ, ალბათ, ჩრდილოეთშიც
ჯარისკაცის საფლავს
უკვე გაჰკრა გაზაფხულმა
ფრთამაღალი აფრა.
და პირველი ია-ია,
შენს საფლავს რომ შვენის,
სამშობლოზე ოცნებაა,
ოცნებაა შენი.

3.

აი, ახლა იმ ტკბილმწარე
მოგონებებს ვუხმობ.
თეთრო ქალო, თეთრ ნისლივით
შემოსულხარ უხმოდ.
შენი თვალი ალალანდა,
თუ ენძელა წყვილი?..
ცდილობ ბრძოლით მოღლილ ბიჭებს
არ გაუფრთხო ძილი.
მაგრამ, კარგო, სიზმარშიაც
მუდამ შენა გხედავთ,
და მომავლის ტკბილ ფიქრებში
ჩასდგომიხარ მხედარს.
ხან თბილისის ლურჯი ცა ხარ,
ხან მღელვარე ზღვა ხარ,
ხან ძილისპირს ტკბილ ჩონგურის
მოღუღუნე ხმა ხარ.
და როცა სურთ გადმომხედონ
თვალთა ენძელებმა,
მე სიკვდილიც, ჩემო კარგო,
აღარ მეძნელება.
მე რა გკადრო, აქ ხომ ყველა
ჩემზე კარგი არი,
ზოგს ათგან სჭირს, ზოგს ოცგან სჭირს
ნახმლევ-ნატყვიარი.
...ახლა სად ხარ, მეგობარო,
ნეტავ რომელ მხარეს.
რიაზანის ჯეჯილებში
მიუძღვები ქალებს,
თუ ბრიანსკის არყის ტყეში
შენც არყის ხეს ჰგავხარ.
ეჰ, არ ვიცი... ჩემთვის ისევ
საქართველოს ცა ხარ,
მოგონების ზღვა ხარ.

4.

ჩვენს დიდ დროშას, დღეს რომ
ამკობს
გამარჯვების დაფნა,
მზისკენ მიჰყავს დედამიწა,
როგორც ნავი აფრას.
ლონდონის თუ ვაშინგტონის
შენიღბულო მელავ,
იმ მზის სხივი შენს თვალებში
ხანჯალივით ელავს.
გეშინიან სინათლისა,
გულს გეცემა დამბლა
და გინდა რომ მიწის აფრა
გადმოხარო დაბლა.
იცი რატომ გავიხსენე
ის გოგონა დღესაც?!.
თუ კვლავ გინდა ატუდეს ისევ
დაჭრილების კვნესა,
განა გულში შურისგების
ნერგი გადამხმარა?..
კვლავ მოძებნის ის ასული
ფრონტელი დის ხალათს.
თვით დაღუპულ გმირთა ძვლებიც
გაცოცხლდება მაშინ
და იქუხებს გამარჯვება
სალუტების ხმაში.

—==—

## ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ 30 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲡ

მახარაძის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ათასზე მეტი აგიტატორი მშ..ომელებს აცნობს საბჭოთა არმიის დამსახურებას ჩვენი სამშობლოს წინაშე.

სოფლად ახლა მშვიდობიან შრომაში ჩაბმულია ასობით ნაომარი ვაჟკაცი. სახელოვანი სნაიპერი საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ შალვას-ძე კვაჭანტირაძე რაიონის ერთ-ერთ მოწინავე კოლმეურნეობას, სოფელ გურიანთის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობს. ამ კოლმეურნეობამ ვადამდე შეასრულა ჩაის საზამთრო სამუშაოები და მტკიცე საფუძველი ჩაუყარა 1948 წლის უხვ მოსავალს.

მშრომელები გულთბილად ინახავენ გამოჩენილი მხედართუფროსის გენერალ-პოლკოვნიკ კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე ლესელიძის ხსოვნას. მის სახელს ატარებს სოფელ თხინვალის კოლმეურნეობა, რომელმაც გადასწყვიტა წელს სულ ცოტა 30 პროცენტით გაადიდოს ჩაის, ციტრუსებისა და სხვა კულტურების მოსავლიანობა.

**ლ. ლოლაძე**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი



**ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ:** საბრძოლო და პოლიტიკური სწავლის ფრიადოსნები (მარჯვნიდან მარცხნივ): უმცროსი სერჟანტი უ. შუბითიძე, მერიგე მ. ორაგველიძე, მერიგე ს. ნანობაშვილი, მერიგე ლ. გოგიბერაშვილი, მერიგე გ. ჩხაიძე და უმცროსი სერჟანტი ა. ებანოიძე.

# ს ი ა მ ა ყ ე

საბჭოთა ხალხის სიამაყე მისი საყვარელი პირმშო, მისი სისხლი და ხორცი — მისი არმია; არმია, რომელიც იშვა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლების ცხარე დღეებში; არმია, რომელიც შექმნეს დიდმა ლენინმა და დიდმა სტალინმა; არმია, რომელიც სალი კლდესავით დგას ჩვენი თვალუწვდენი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სადარაჯოზე.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი სიხარულით გზავნის საბჭოთა არმიაში თავიანთ შვილებს. საბჭოთა ხალხი დაუღალავად შრომობდა იმისათვის, რომ მისი არმია ყოფილიყო მსოფლიოში საუკეთესო, აღეჭურვა იგი პირველხარისხოვანი ტექნიკით, გაეხადა ძლიერი და მტრისათვის მრისხანე.

და საბჭოთა ხალხმა კიდეც მიაღწია მიზანს, შექმნა პირველხარისხოვანი მძლავრი თანამედროვე არმია.

* * *

მტკიცედ ინახავს ქართველი ხალხი თავის სახელოვან მეომრულ ტრადიციებს. უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ათასწლოვან ბრძოლებში გამოიჭედა ქართველ მეომართა თვისებები — უშიშრობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვაჟკაცობა, გმირობა, სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარული. ეს თვისებები მთელი ძალით განვითარდა იმ არმიის რიგებში, რომელიც შესდგება მშრომელი ხალხის შვილებისაგან, რომელიც იბრძვის მხოლოდ სამართლიანი საქმისათვის, იცავს დიდი ოქტომბრის მონაპოვარს — საბჭოთა არმიის რიგებში.

და როგორც ქართველი ხალხი საბჭოთა სამშობლოს სხვა ხალხებთან ერთად იბრძვის და შრომობს ბედნიერი მომავლისათვის, ისე საბჭოთა არმიის რიგებში მყოფი ქართველნი, მოძმე ხალხთა შვილების მხარდამხარ, სახელოვნად იცავენ ხალხის მშვიდობიან შრომას და ახალ, სოციალისტურ ცხოვრებას.

ჯერ კიდევ ოცდაათი წლის წინათ, როცა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში იბადებოდა და იწრთობოდა მშრომელი ხალხის არმია, თეთრგვარდიელთა და უცხოელ ინტერვენტთა წინააღმდეგ გაფთრებულ ბრძოლებში ბევრმა ქართველმა ისახელა თავი გულადობითა და მამაცობით.

მშვიდობიანი მშენებლობის წლებში საბჭოთა ხალხს ერთი წუთითაც არ დავიწყებია მტრული კაპიტალისტური გარემოცვა. საბჭოთა არმიის მეომარნი მშვიდობიან წლებს იყენებდნენ იმისათვის, რათა სრულყოფილად დაუფლებოდნენ თანამედროვე რთულ სამხედრო ტექნიკას, ემზადებოდნენ საჭიროების შემთხვევაში მტრისათვის საკადრისი პასუხის გასაცემად. ყოველწლიურად ქართველი ახალგაზრდებიც მიდიოდნენ საბჭოთა არმიის რიგებში, ქვეითთა, მფრინავთა, მეზღვაურთა, არტილერისტთა და სხვა სამხედრო სასწავლებლებში.

როცა მტერი ცდილობდა მოესინჯა ჩვენი საზღვრების სიმტკიცე, საბჭოთა არმიის ძალა, საბჭოთა მეომრების რიგებში მედგრად იბრძოდნენ ქართველებიც. სახელოვანმა ქართველმა მხედართუფროსმა, საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-პოლკოვნიკმა პორფილე ჩანჩიბაძემ ხასანის ტბასთან მიიღო საბრძოლო ნათლობა. დიდი სამამულო ომის დაწყებამდე თეთრფინელთა წინააღმდეგ სასტიკ ბრძოლებში საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდება მიიღეს ვლადიმერ ნანეიშვილმა, ალექსანდრე სულაბერიძემ და ილია ხმალაძემ. თეთრფინელთა წინააღმდეგ ომში საბრძოლო ნათლობა მიიღეს აგრეთვე გრიგოლ ბუაჩიძემ და გიორგი ბილანიშვილმა, რომლებმაც შემდეგ, დიდ სამამულო ომში, მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინეს და საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ. ბევრმა ქართველმა მიიღო მონაწილეობა აგრეთვე პოლონელი პანებისაგან დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის განთავისუფლებაში. მათ შორის დასავლეთ უკრაინისათვის ბრძოლის მონაწილე საბჭოთა კავშირის გმირი ვლადიმერ გუბელაძე, ხოლო დასავლეთ ბელორუსიაში საბრძოლო ნათლობა მიიღო საბჭოთა კავშირის გმირმა პლატონ წიქარიძემ.

საბჭოთა არმია და მის რიგებში ქართველი მეომრებიც ამ ბრძოლებიდან უფრო ძლიერნი და გამოწრთობილნი გამოდიოდნენ. წარმატებით ეუფლებოდნენ თავიანთ საქმეს ქართველი ქვეითები, მფრინავები, მეზღვაურები, არტილერისტები, ტანკისტები — რიგითი მეომრები და მეთაურები. და როდესაც გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა ხროვა ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს სამშობლოს, ქართველი ვაჟკაცები მთელი საბჭოთა ხალხის შვილების მხარდამხარ ჩაებნენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში მტრის გასანადგურებლად, გამარჯვების მოსაპოვებლად.

* * *

სამამულო ომი რომ დაიწყო, არტილერისტი ანდრო ლაბაძე ჩვენი ქვეყნის დასავლეთ საზღვარზე იმყოფებოდა. აი სტრიქონები მისი დღიურიდან, რომლებიც დაწერილია ომის პირველ დღეებში—1941 წლის ივნისში:

„**25 ივნისი.** დილით მტრის ურიცხვი ძალები შეტევაზე გადმოვიდნენ. ჩვენ მათ ძლიერი ცეცხლი შევაგებეთ. გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლა. ჩვენი ბიჭები ლომებივით იბრძოდნენ. მტრის მრავალი ტანკი დავადუმეთ, მრავალი ფაშისტი გამოვასალმეთ სიცოცხლეს. საღამოს ჩვენ თვითონ გადავედით იერიშზე.

**28 ივნისი.** ღამე წითელარმიელი სერგო მორჩაძე დასაზვერავად წავიდა მტრის ზურგში. ტყის სიღრმეში იგი ტყვია-წამლით სავსე მტრის შენიღბულ ავტომანქანებს წააწყდა. ფაშისტებმა მზვერავი შეამჩნიეს და მგლებივით შემოერტყნენ გარს.

ქართველმა მეომარმა მტერს გრანატები დააყარა. ერთი გრანატი დატვირთულ ავტომანქანას მოხვდა და საშინელი გრიალით აფეთქდა. მამაცმა მზვერავმა კიდევ სტყორცნა გრანატები და რამდენიმე ავტომანქანა და ფაშისტი გაანადგურა. ამ გმირობისათვის იგი ლენინის ორდენით დააჯილდოეს.

**30 ივნისი.** მტერმა უამრავი ჯარი დააგროვა მდინარის მახლობლად და ახალი ძალით შემოგვიტია. ჩვენ ველები დავნაღმეთ და უკან დავიხიეთ. როცა მტერმა დანაღმულ ველზე ფეხი შემოდგა, უცბად გამაყრუებელი ხმაური გაისმა. მტრის ტანკები, მოტოციკლები, ჯარისკაცები მტვრად იქცნენ. ძვირად დაუჯდათ მათ რამდენიმე მანძილით წინ წამოწევა. მტერმა სცადა ხიდზე გადმოსვლა, მაგრამ ხიდი ავაფეთქეთ და ფაშისტი ჯარისკაცების გვამები მდინარის აბობოქრებულმა ტალღებმა შთანთქეს"...

ეს მხოლოდ რამდენიმე სტრიქონია სამამულო ომის დიადი წიგნიდან, მაგრამ ამ სტრიქონებიდანაც ჩანს, თუ როგორ იბრძოდნენ საბჭოთა მეომრები ომის პირველივე დღეებიდან.

ამ დღეებში რედაქციამ მიიღო წერილი სოფელ არახვეთის მცხოვრებ პ. ბურდულისაგან. იგი იწერება:

„1942 წლის ოქტომბრის დამლევს ფრონტზე გამგზავრების წინ შეკრებილ მიტინგზე წითელარმიელებთან წავიკითხე პოეტ ილო მოსაშვილის ლექსი „ყველას გვეძახის". ეს ლექსი გაზეთიდან ამოვჭერი და ფრონტზე თან წავიღე. მეორედ ეს ლექსი წავიკითხე მებრძოლებთან 1943 წლის 1 მაისს ქალაქ თემრუკის ახლოს სტანიცა სვისტულნიკოვისათვის წარმატებითი ბრძოლების შემდეგ.

დედა სამშობლო, დედა ალაგი,
მიწა ხანძრებით ბევრჯერ დამწვარი,
ქართლის ველების რძე და ბალახი
და წინაპართა ძვლების ნაცარი, —
გვეძახის შვილებს, ყველას გვეძახის
ამ ქვეყანაზე წმინდა რაც არი!

ეს სიტყვები ყოველთვის გვახსოვდა სისხლისმღვრელ ბრძოლაში მდინარე თერგიდან მდინარე ელბამდე".

ათიათასობით ქართველი ვაჟკაცი იბრძოდა სამამულო ომის ფრონტებზე. ისინი იყვნენ იმ ვაჟკაცთა შორის, რომლებმაც პირველებმა შეაგებეს თავიანთი მკერდი მტრის აღმართულ მახვილს. ისინი იყვნენ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვის დამცველთა რიგებში. ისინი მონაწილეობას იღებდნენ გმირი ქალაქების ოდესისა და სევასტოპოლის დაცვაში, სტალინგრადის ეპოპეაში. მათ მთელ ჩვენს არმიასთან ერთად გაიარეს ძლევამოსილი გზა გამარჯვებისა ბერლინამდე. უკრაინის ველებზე, ბელორუსიის დაბურულ ტყეებში, ლენინგრადის მისადგომებთან, შორეულ კარელია-ფინეთში და მშობლიური კავკასიონის კალთებზე, — ყველგან მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ხალხთა შვილებთან ერთად მამაცურად იბრძოდნენ ქართველები.

ქართველი საბჭოთა კავშირის გმირი ასზე მეტია. მარტო მდინარე დნეპრის გადალახვისათვის საბჭოთა კავშირის გმირობა მიიღო ათზე მეტმა ქართველმა. მათ შორის არიან ირაკლი ციციშვილი, ლევან ჩუბინიძე, ივანე გვენცაძე, ვლადიმერ ბეროშვილი, გიორგი გოცირიძე, გრიგოლ ბუაჩიძე, კონსტანტინე ტყაბლაძე, გიორგი ბილანიშვილი, ვლადიმერ გუბელაძე და სხვები. კავკასიისათვის ბრძოლებში გმირის წოდება მიიღეს ნიკოლოზ გოგიჩაიშვილმა, ვლადიმერ ლურსმანაშვილმა, ვლადიმერ კანკავამ, ალექსი პირმისაშვილმა. სტალინური შევარდენი, სევასტოპოლისათვის ბრძოლების მონაწილე, საბჭოთა კავშირის გმირი ალექსანდრე წურწუმია სიკვდილის შემდეგ სამუდამოდ არის შეტანილი თავისი ნაწილის პირადი შემადგენლობის სიაში. სევასტოპოლისათვის ბრძოლებში გმირობა გამოიჩინეს ა. გეგეშიძემ, მ. გახოკიძემ, ნ. ადამიამ. მათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. საბჭოთა კავშირის გმირთა რიგებს ამშვენებენ ი. იოსელიანი, რ. ბარციცი, ა. კანანაძე, ა. გურგენიძე, გ. ინასარიძე, ბ. ზუმბულიძე, გ თვაური, კ. მებაღიშვილი, გ. მერკვილაძე, შ. ქირია, ო. ჩეჩელაშვილი, ზ. ხიტალიშვილი. სამშობლოსათვის თავი დასდეს სტალინურმა შევარდნებმა საბჭოთა კავშირის გმირებმა ი. ჯინჭარაძემ და ჰ. ბენდელიანმა. საბჭოთა კავშირის გმირები არიან მამაცი პარტიზანი დ. ბაქრაძე და სახელოვანი სნაიპერი შ. კვაჭანტირაძე, არტილერისტები გ. ალფაიძე და გმირულად დაღუპულები ვლადიმერ ხარაზია და ვიქტორ ლესელიძე.

განა სამშობლო ოდესმე დაივიწყებს იმ მგზნებარე პატრიოტების სახელს, რომლებმაც თავიანთი ახალგაზრდა სიცოცხლე შესწირეს ჩვენი ხალხის კეთილდღეობას? 20 წლისაც არ იყვნენ ლავრენტი ავალიანი და შოთა გამცემლიძე. ისინი გრანატების კონებით მტრის ტანკებს შეუვარდნენ ქვეშ და თავიანთ სხეულთან ერთად ააფეთქეს ეს ჯავშნოსანი ურჩხულები. შოთა როსტიაშვილმა თავისი ტყვიამფრქვევით მარტომ შეაჩერა ჰიტლერელთა ასეულის შემოტევა და, როცა ვაზნები გამოელია, ხელყუმბარებით იგერიებდა მოწოლილ მტერს. შემდეგ იმ ადგილას, სადაც როსტიაშვილი იბრძოდა, მტრის 47 გვამი დაითვალეს.

საბჭოთა არმიაში დიდი სამამულო ომის დროს აღიზარდა ბევრი ნიჭიერი მხედართუფროსი. ჩვენი ხალხი, ჩვენი არმია კარგად იცნობენ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ლესელიძეს, გვარდიის გენერალ-პოლკოვნიკ პ. ჩანჩიბაძეს, გენერალ-ლეიტენანტ ვ. ნანეიშვილს, გენერალ-მაიორებს გ. ყურაშვილს, ვ. ჯანჯღავას, ე. კობერიძეს, მ. მიქელაძეს და სხვებს, რომლებიც სტალინური წრთობის მხედართუფროსები არიან.

სამამულო ომის მრისხანე დღეებში, როცა ჰიტლერელთა ურდოები მობობღავდნენ კავკასიონის კალთებზე, სურდათ გადმოელახათ მისი სპეტაკი მწვერვალები და შემოსეოდნენ ამიერკავკასიის ხალხებს, მტერთან ბრძოლაში თავი გამოიჩინეს საბჭოთა არმიის ქართულმა ნაწილებმა. ჩრდილოეთ კავკასიაში, მდინარე თერგზე, მოზდოკთან, ყუბანის ტრიალ მინდვრებსა და ღელიან-ჩალიანებში ტამანის ნახევარკუნძულზე კვალდაკვალ მისდევდნენ მტერს ქართველი მეომრები. ქალაქ ანაპის აღებისათვის უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ სტალინის ბრძანებით ქართულ დივიზიას მადლობა გამოეცხადა და ანაპის სახელწოდება მიენიჭა. ანაპის დივიზიის მეომრებმა გადალახეს ქერჩის სრუტე და იბრძოდნენ ყირიმის მიწა-წყალზე. გმირი ქალაქის სევასტოპოლის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში ამ დივიზიიდან სამ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება — ვ. პაპიძეს, გ. სამხარაძეს და ს. ჩხაიძეს. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი მებრძოლი და მეთაური, რომ დაჯილდოებული არ ყოფილიყო ორდენებითა და მედლებით.

ქართველ მეომრებს მტრის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ამოქმედებდა სამშობლოსადმი უანგარო სიყვარული, საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი გრძნობა, ლენინ-სტალინის პარტიისადმი, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულება. ამ გრძნობით გაისროლა საბჭოთა მეომარმა პირველი საპასუხო ტყვია 1941 წლის 22 ივნისს და ამ გრძნობით აღმართეს მიხეილ ეგოროვმა და მელიტონ ქანთარიამ გამარჯვების დროშა 1945 წლის 30 აპრილს რაიხსტაგის გუმბათზე.

* * *

საბჭოთა არმიამ ბრწყინვალე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა და იაპონელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში და ახლა კვლავ დგას ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანობის სადარაჯოზე. მის რიგებში კვლავ იმყოფება მრავალი ქართველი ვაჟკაცი. ისინი მშვიდობიან წლებს იყენებენ სამხედრო ცოდნის სრულყოფისათვის, ხოლო დიდი სამამულო ომის მონაწილენი თავიანთ მდიდარ გამოცდილებას გადასცემენ ახალ შევსებას.

დაბრუნდნენ სახლში ნაომარი ვაჟკაცები. მათ საბჭოთა არმიის რიგებიდან თან მოიტანეს შეუპოვრობა, სიმტკიცე, მშვიდობიანი შრომის წყურვილი, სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარული, ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, დიდი სტალინისადმი უსაზღვრო ერთგულება.

ისინი დაუბრუნდნენ ჩვენი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნებს, საკოლმეურნეო მინდვრებს, ახალ მშენებლობებს, ჩაებნენ საბჭოთა ხალხის შემოქმედებითი სასიხარულო შრომის ფერხულში, მეომრულად მოჰკიდეს ხელი საქმეს, მთელ ჩვენს ხალხთან ერთად მიდიან წინ ძლევამოსილი გზით.

მაგრამ, თუ ვერაგი მტერი კვლავ წაუპოტინებს ხელს ჩვენს სამშობლოს, შეგვაწყვეტინებს მშვიდობიან შრომას, კვლავ აღსდგებიან საბრძოლველად საბჭოთა ქვეყნის ხალხების მილიონობით შვილები, კვლავ გაიჭრებიან ბრძოლაში ქართველი ვაჟკაცებიც და ვაი იმას, ვინც მათ გზაზე გადაუდგება.

საბჭოთა არმია დღეს ოცდაათი წლის ვაჟკაცია. იგი სიამაყე ჩვენი ქვეყნისა, ჩვენი ხალხისა. მას ხელმძღვანელობს, მისი ძლიერებისა და სიმტკიცისათვის განუხრელად ზრუნავს უდიდესი მხედართმთავარი, ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი დიდი სტალინი. ეს არის იმის გარანტია, რომ საბჭოთა არმია ყოველთვის წარმატებით შეასრულებს მისთვის დაკისრებულ ამოცანას.

მაშ, იცოცხლოს და იდღეგრძელოს დიადმა საბჭოთა არმიამ მოყვრის სასიხარულოდ და მტრის თავზარდასაცემად.

**ნინო მჭედლიძე**

## ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲠᲝᲛᲐᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲜᲘ

მდინარე მიუსის ნაპირებზე ცივი ქარი ღმუოდა და გარუჯული ხეების დაგლეჯილ რტოებს აშრიალებდა. სატყვიამფრქვევო ბუდეებით, რკინა-ბეტონის ხანგრძლივი საცეცხლე წერტილებით და ჯავშნიანი ბლინდაჟებით იყო დასერილი ეს ნაპირები...

ღამით მზვერავი შალვა სოსიაშვილი მდინარის მეორე ნაპირზე შეუმჩნევლად გადავიდა და მტრის პოზიციებს ხოხვით მიუახლოვდა. ათიოდე ნაბიჯის იქით ლანდი შეინძრა. ეს გერმანელი გუშაგი იყო. მზვერავმა ადროვა, მერე ზურგიდან დააფრინდა და ამოსუნთქვაც არ აცალა, ხიშტით განგმირა.

წინ ბლინდაჟია, მტრის საკომანდო პუნქტი. მიწურის ზემოდან ნასვრეტში მზვერავმა შეამჩნია გალეშილი ოფიცრები. უცბად ბლინდაჟის კარი გაიღო და ვიღაც გარეთ გამოვიდა. მზვერავმა დრო იხელთა და ღია კარში ტანკსაწინააღმდეგო გრანატი სტყორცნა, შემდეგ თვალის დახამხამებაში შეიჭრა მიწურში, ერთ ოფიცერს სამხედრო ჩანთა შეაჭრა და წამოიღო.

მტერმა შეიტყო. ჰაერში ავარდნენ რაკეტები. ათასფრად ბრჭყვიალებდნენ მოტრასირე ტყვიების ზოლები. საბჭოთა მზვერავი ხოხვით დაეშვა მდინარისაკენ. უკვე ახლოს ესმოდა ვილაცის ხმა:

— რუს, ზდავაის...

მაგრამ შ. სოსიაშვილი უკვე მიუსის ტალღებს შეერია. პროჟექტორის შუქზე ჩანდა, თუ როგორ გაჰყვა ტყვიის წერტილები ტალღებს. მზვერავი გაუჩინარდა.

დილით ფრონტის ამ უბანზე ჩვენმა შემტევმა ნაწილმა, გამოიყენა რა მამაცი მზვერავის მიერ მოტანილი მასალები, შეუპოვარ ბრძოლაში გასტეხა მტრის წინააღმდეგობა და წინ წაიწია.

* * *

გვარდიის უფროსი სერჟანტი ვლადიმერ ჩანტლაძე სწრაფად მიაქროლებდა მძიმე ტანკს, რომლის ქვემეხი განუწყვეტლივ ისროდა. ქალაქ ბერლინის განაპირა უბანს დაუსრულებელი აფეთქებები აყრუებდა. ფესვიანად ამოგლეჯილი უზარმაზარი ხეები ჰაერში იტყორცნებოდა. ტანკების მუხლუხები სრესდნენ, სთელავდნენ მტრის უკანასკნელ სიმაგრეს.

აი ვ. ჩანტლაძის ტანკის წინ ყუმბარა აფეთქდა. ტანკის წინა ნაწილი კვამლში გახვია. ვლადიმერი დაიჭრა, სუნთქვა შეეხუთა, პირი გაუშრა, მაგრამ მაინც ძალ-ღონე მოიკრიბა, ნახევრად დაზიანებული ტანკი მტრის შენიღბული ქვემეხისაკენ წაიყვანა და იგი მუხლუხებით გასრისა.

კვამლში გახვეული რაიხსტაგის წინ გვარდიის უფროსმა სერჟანტმა ვლადიმერ ჩანტლაძემ ტანკი ერთი წუთით შეაჩერა. მებრძოლმა დაცხრილულ რაიხსტაგის გუმბათზე გამარჯვების წითელი დროშა დაინახა.

საყვარელი ბელადის, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის დიდი სტალინის ბრძანება შესრულებული იყო!

* * *

ომი დამთავრდა. ომგადახდილნი სამშობლოში დაბრუნდნენ.

როდესაც გვარდიელი შალვა სოსიაშვილი თბილისის კიროვის სახელობის ქარხანაში თავის საყვარელ დაზგასთან მივიდა, გული სიხარულით აევსო — ხუთი წელიწადი იყო, რაც აღარ ენახა იგი. საამქროს მუშები შემოეხვივნენ, ულოცავდნენ დაბრუნებას.

ვეებერთელა კორპუსის კედლებზე მსხვილი ასოებით ეწერა:

— ვალდებულება აიღე? უნდა შეასრულო!

მალე ზეინკალი შალვა სოსიაშვილი მოწინავეთა რიგებში ჩადგა. სახელოვანი საბჭოთა არმიის XXX და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების XXVII წლისთავისათვის მას ექვსი წლის ნორმა აქვს შესრულებული.

ომგადახდილი ინჟინერი ვლადიმერ ჩანტლაძე საამწყობო საამქროს დაუბრუნდა, მთავარ ოსტატად დანიშნეს. იგი დღედაღამ თავს დასტრიალებდა დაზგებს. საამქრო ზედიზედ აღწევდა გამარჯვებებს, მეგობრები მას ახლაც „გვარდიის მეთაურს" ეძახიან. განიერ მკერდს უმშვენებს წითელი ვარსკვლავისა და სამამულო ომის ორდენები, მედლები: „მამაცობისათვის", „საბრძოლო დამსახურებისათვის", „კავკასიის დაცვისათვის", პრაღის განთავისუფლებისა და ბერლინის აღებისათვის. იგი ამჟამად ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების ხელმძღვანელია.

განა ერთი და ორია ასეთი? ქარხანაში ბევრი ნაომარი ვაჟკაცი მუშაობს და ყველა წარმატებით ასრულებს გეგმებს. მათ შორის აღსანიშნავია სტახანოველები: დ. ჯავახიშვილი, გ. ბენდუქიძე, გ. გოგიტიძე, რომლებიც დღიურ ნორმებს 400-500 პროცენტით ასრულებენ.

ასეთნი არიან დედაქალაქის სიამაყის — კიროვის დაზგათმშენებელი ქარხნის ადამიანები — ბრძოლაში და შრომაში გამარჯვებული პატრიოტები.

**აკაკი გოცირიძე**

# გადადგა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის წევრთა ნაწილი

**პრაღა**, 20 თებერვალი. (საკდესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ მთავრობის სხდომა, რომელიც დღეისათვის დანიშნა პრემიერ-მინისტრმა გოტვალდმა, არ შემდგარა. მთავრობის ამ სხდომაზე მოხსენება უნდა გაეკეთებინა შინაგან საქმეთა მინისტრ ნოსეკს ეროვნული უშიშროების კორპუსის საკითხებზე. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ცნობით ქალაქ მოსტში ჯაშუშური ორგანიზაციის აღმოჩენის შესახებ უნდა გამოსულიყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ნოსეკი და ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალი სვობოდა. მთავრობის სხდომა არ შემდგარა იმის გამო, რომ მთავრობის წევრებმა სახალხო-სოციალისტური, სახალხო და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიებისაგან უარი სთქვეს მთავრობის სხდომაში მონაწილეობაზე.

**პრაღა**, 20 თებერვალი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარია იუწყება, რომ ჩეხოსლოვაკიის მთავრობის მინისტრებმა—სახალხო-სოციალისტური, სახალხო და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიების წევრებმა 4 თებერვალს ოფიციალურად განუცხადეს პრეზიდენტ ბენეშს თავიანთი გადადგომის შესახებ.

აგრეთვე იუწყებიან, რომ დღეს პრეზიდენტმა ბენეშმა მიიღო პრემიერ-მინისტრი გოტვალდი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნოსეკი, ეროვნული თავდაცვის მინისტრი გენერალი სვობოდა და ფოსტის მინისტრი გალა.

**პრაღა**, 20 თებერვალი. (საკდესი). გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ დღეს ნაშუადღევს სახალხო-სოციალისტური, სახალხო და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიების წევრმა მინისტრებმა აცნობეს პრემიერ-მინისტრ გოტვალდს, რომ მათ რესპუბლიკის პრეზიდენტ ბენეშს გაუგზავნეს ოფიციალური განცხადება გადადგომის შესახებ. მთავრობის ამ წევრებს ეკუთვნიან: პრემიერ მინისტრის მოადგილე ზემბლი, განათლების მინისტრი სტრანსკი, იუსტიციის მინისტრი დრტინა, საგარეო ვაჭრობის მინისტრი რიპკა, პრემიერ-მინისტრის მოადგილე შრამეკი, ფოსტის მინისტრი გალა, ტექნიკის მინისტრი კოპეცკი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი პროხაზკა, პრემიერ-მინისტრის მოადგილე კოჩვარა, ტრანსპორტის მინისტრი პიეტრი, კანონთა უნიფიკაციის მინისტრი ფრანეკი და ეროვნული თავდაცვის სამინისტროს სტატს-მდივანი ლიხნერი (მთავრობის შემადგენლობაში სულ 26 წევრია. რედაქციის შენიშვნა).

მთავრობის წევრთა გადადგომით გამოწვეული შინაპოლიტიკური ვითარების გამო, პრემიერ-მინისტრმა გოტვალდმა ინახულა რესპუბლიკის პრეზიდენტი და განუცხადა მას, რომ საჭიროა მთავრობის სწრაფად შევსება.

# ჩეხოსლოვაკიის შინაპოლიტიკური მდგომარეობის გამო

**პრაღა**, 20 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა ჩეხოსლოვაკიაში შტეინჰარდტმა ნიუ-იორკიდან პრაღას გამგზავრების წინ პრესის წარმომადგენლებთან საუბარში რწმენა გამოსთქვა, რომ „არჩევნები ჩეხოსლოვაკიაში ჩატარდება კომუნისტური ძალადობის გარეშე". ამერიკის ელჩი ამერიკაში ორთვენახევრის ყოფნის შემდეგ გუშინ დაბრუნდა პრაღას. მის განცხადებას გამოეხმაურნენ სახალხო სოციალისტური პრესა და ზოგიერთი სხვა პარტიები და თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნეს. პოლიტიკურ წრეებში ამტკიცებენ, რომ სახალხო-სოციალისტურმა პარტიამ და მის გარშემო შეკავშირებულმა სხვა პარტიებმა შტეინჰარდტის განცხადება მიიღეს როგორც ვაშინგტონის შესაბამისი სიგნალი. ამ პარტიების წარმომადგენლებმა მთავრობაში ერთობლივი შეტევა წამოიწყეს შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, რომელსაც ცდილობენ ბრალი დასდონ, რომ იგი უშიშროების ორგანოებს ვითომდა იყენებს კომუნისტების დიქტატურის დასამყარებლად.

უშიშროების ორგანოების წინააღმდეგ გააფთრებული კამპანია წამოიწყო ამ უკანასკნელ დღეებში სახალხო-სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „სვობოდნე სლოვო". დღეს ეს გაზეთი პირველ გვერდზე ბეჭდავს ვრცელ განცხადებას მყვირალა სათაურით: „არ დაუშვებთ პოლიციური რეჟიმის დამყარებას". იმ განცხადებასთან ერთად, რომ უშიშროების ორგანოები არაფრით არ განსხვავდებიან გესტაპოსაგან, რუსეთის წინანდელი ოხრანკისაგან და სხვა, გაზეთი მოუწოდებს ყველა პარტიებსა და მოქალაქეებს აშკარა ბრძოლისაკენ უშიშროების ორგანოების წინააღმდეგ. რედაქცია აცხადებს, რომ თუ „მიღწეულ იქნა შეთანხმება უშიშროების ორგანოების შესახებ, მაშინ შესაძლებელი იქნება შეთანხმება ყველა დანარჩენ საკითხებზეც".

სახალხო-სოციალისტურმა პარტიამ თავისი მთავარი გალაშქრების საგნად აირჩია შინაგან საქმეთა სამინისტრო და უშიშროების ორგანოები. მას იმედი აქვს გამოიწვიოს მთავრობის კრიზისი და შეეცადოს კომუნისტების განდევნას მთავრობიდან. იმ შემთხვევაში, თუ სახალხო-სოციალისტური პარტია ამ თავის ტაქტიკაში მარცხს განიცდის, იგი უშიშროების ორგანოებზე გალაშქრების გზით ცდილობს წინასწარ გაუტეხოს სახელი მომავალ საპარლამენტო არჩევნებს.

დემოკრატიულმა საზოგადოებრივობამ საკადრისად შეაფასა ის, რისკენაც ისწრაფვის და რის მიღწევასაც ცდილობს სახალხო-სოციალისტური, ხოლო მასთან ერთად ორი სხვა პარტია, რომლებმაც აღვირახსნილი კამპანია გააჩაღეს ჩეხოსლოვაკიის ხალხთა დემოკრატიული მონაპოვრის საგუშაგოზე მდგომი უშიშროების ორგანოების წინააღმდეგ.

გაზეთი „ზემლედელსკე ნოვინი" სწერს: მთავრობის გარკვეულმა წრეებმა სცადეს შეექმნათ მთავრობის კრიზისი, რომლის მიზეზიც უნდა გახდეს ჩვენი საშინაო უშიშროების ორგანოების საქმიანობა. იმავე წრეებმა ამ უკანასკნელ დროს გადადგეს ნაბიჯები, რომ ძირი გამოუთხარათ ჩვენი არმიის მორალური სიმტკიცისათვის. განუწყვეტლივ სწარმოებს ცილისმწამებლური კამპანია ჩვენი სლავური კავშირების წინააღმდეგ. იუსტიციის ორგანოები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გაათავისუფლონ მრავალი გამცემი და ჰიტლერის აგენტები, და ცდილობენ, რომ მათზე გავრცელდეს ამნისტია, როგორც ეს ხდება დასავლეთ გერმანიის საოკუპაციო ზონებში. ჩვენი ახალი დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხი აცხადებს, რომ რეაქციის ყველა ცდა ჩაიფუშება.

გაზეთი „მლადა ფრონტა" დღეს თვალსაჩინო ადგილზე ბეჭდავს ჩეხი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელშიც ნათქვამია, რომ კავშირი სავსებით უჭერს მხარს პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს გადაწყვეტილებას საფაბრიკო-საქარხნო და სხვა პროფკავშირული კომიტეტების დელეგატთა ყრილობის მოწვევის შესახებ. ჩეხი ახალგაზრდობის კავშირის ცენტრალური კომიტეტი სავსებით უჭერს მხარს ქალაქისა და სოფლის მშრომელთა მოთხოვნას—დაუყოვნებლივ მიღებულ იქნას კანონი მიწის ახალი რეფორმის შესახებ, საყოველთაო სოციალური დაზღვევის შესახებ და მოუწოდებს თავის ყველა წევრს მიაღწიოს ამ კანონების მიღებას და სხვა ეკონომიური და სოციალური რეფორმების გატარებას.

# ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მიმართვა

**პრაღა**, 20 თებერვალი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მოწოდებით მიმართა ქალაქისა და სოფლის მშრომელ მოსახლეობას.

„კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა,—ნათქვამია მოწოდებაში,—თავის დღევანდელ სხდომაზე განიხილა ჩეხოსლოვაკიაში ახლანდელი პოლიტიკური კრიზისის შემდგომი განვითარება და გადაწყვიტა კვლავ გააშუქოს მთელი ხალხის წინაშე მთავრობის წევრთა — სახალხო-სოციალისტური, სახალხო და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიების წარმომადგენელთა უპასუხისმგებლო საქციელი.

ზემოთ ჩამოთვლილი პარტიების წარმომადგენლები დღეს კვლავ არ მოვიდნენ მთავრობის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც უნდა მოესმინა შინაგან საქმეთა მინისტრ ნოსეკის ცნობა ეროვნული თავდაცვის ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც წარმოიშვნენ სახალხო-სოციალისტური პარტიის წევრ-მინისტრების პროვოკაციული მოქმედების შედეგად. მთავრობის ამ სხდომის დღის წესრიგში შემდეგ იდგა ეროვნული თავდაცვის მინისტრის, არმიის გენერალ სვობოდას ცნობა მოსტში ჯაშუშური საქმიანობის შესახებ და განხილვა კანონპროექტებისა მეპატრონეთა და ხელოსანთა გადასახადების შემცირების შესახებ და მთელი რიგი სხვა გადაუდებელი ღონისძიებანი.

სახალხო-სოციალისტური, სახალხო და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მთავრობის საგანგებო სხდომა დღეს არ შესდგა, იმისათვის, რომ უკვე ერთ თვეზე მეტია მთავრობას არ ძალუძს განახორციელოს თავისი ნორმალური საქმიანობა და შეასრულოს თავისი გადაუდებელი ამოცანები.

ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელთა უპასუხისმგებლო საქციელი უფრო ნათელი ხდება შემდეგი ფაქტების მიხედვით.

აღმოჩნდა, რომ ზოგიერთ გავლენიან პირს ეროვნული უშიშროების ორგანოებზე გალაშქრების გზით უნდა დაეფარა გაჩაღებული ჯაშუშური საქმიანობა, რამაც უმაგალითო ხასიათი მიიღო და რაც მოწმობს ჩვენი რესპუბლიკის წინააღმდეგ უცხოეთისა და შინაური რეაქციის ფართო შეთქმულებას. საჭიროა გამცემლობად ჩავთვალოთ ის ფაქტი, რომ სახალხო-სოციალისტური პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „სვობოდნე სლოვო" მხილებულ ჯაშუშებს უწოდებს „ცდუნებულ ადამიანებს", და ამას სწერს იმ მომენტში, როცა შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოსეკმა და ეროვნული თავდაცვის მინისტრმა გენერალმა სვობოდამ უნდა წამოაყენონ საგანგებო ღონისძიებანი იმისათვის, რათა უშიშარჰყონ ჩვენი სახელმწიფო ჯაშუშთა ხროვისაგან, რომლებსაც ჩვენში აგზავნიან დასავლეთიდან და რომლებიც უკვე მოქმედებენ გერმანიის საიდუმლო გენერალური შტაბის ჯაშუშური სამსახურის განახლებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, შინაპოლიტიკურმა კრიზისმა, რაც მოულოდნელად არის გამოწვეული მთავრობის ზოგიერთი პარტიის წარმომადგენელთა მიერ, დაგვაყენა არა მარტო შინაური უთანხმოების საფრთხის წინაშე, არამედ უცხოეთის რეაქციის აგენტების მხრივ რესპუბლიკისათვის საფრთხის შექმნის წინაშეც. საჭიროა ჩვენი ხალხის ფართო მასებს გავაგებინოთ, რომ კრიზისის განვითარებამ სერიოზული ხასიათი მიიღო. სამი პოლიტიკური პარტიის—სახალხო - სოციალისტური, სახალხო და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიების დაჯგუფება, როგორც ეს მთელი სიცხადით სჩანს, წარმოადგენს ანტიდემოკრატიულ, ანტიხალხურ, ანტისოციალისტურ ბლოკს, რომელმაც მიზნად დაისახა დაამხოს სახალხო დემოკრატიის რეჟიმი და გვაიძულოს ძალაუფლება რეაქციას გადავცეთ.

იმ ნაბიჯებიდან, რაც სახალხო-სოციალისტური, სახალხო და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიების წარმომადგენლებმა გადადგეს ამ უკანასკნელ დროს, უკვე სჩანდა, რომ ამ პარტიების ხელმძღვანელი მოღვაწეები ეთიშებიან ეროვნული ფრონტის პრინციპებს, ცდილობენ შეარყიონ მთავრობა და გადადიან მთავრობის საწინააღმდეგო ოპოზიციურ გზაზე იმ მიზნით, რომ გოტვალდის მთავრობა შრომის უუნარო, მთავრობის პროგრამის განხორციელების უუნარო გახადონ. სამი პარტიის ეს ბოროტგანზრახული საქციელი დამთავრდა სახალხო-სოციალისტური, სახალხო და სლოვაკიის დემოკრატიული პარტიების წევრ-მინისტრთა გადადგომით. ამ ნაბიჯით ზემოაღნიშნული პარტიების ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა თავიანთი თავი დააყენეს ეროვნული ფრონტის რიგებს გარეშე და გადავიდნენ ოპოზიციაში მთავრობის პროგრამის მიმართ.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა განიხილა შექმნილი მდგომარეობა და სავსებით დაეთანხმა მთავრობაში თავისი წარმომადგენლების მოქმედებას.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა გადაწყვიტა, რომ დაუყოვნებლივ მობილიზებულ უნდა იქნას მშრომელთა მთელი ძალები გოტვალდის მთავრობის მხარდასაჭერად, რომელიც არ მერყეობს და თავის პოსტზე რჩება იმისათვის, რათა დაიცვას სახალხო დემოკრატიის საქმე და განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება სახელმწიფოში უშიშროების, სიმშვიდისა და წესრიგის დასაცავად.

კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამ სერიოზულ მომენტში მოუწოდებს ქალაქისა და სოფლის მუშებსა და გლეხებს, ხელოსნებსა და ინტელიგენციას, ყველა ნამდვილ ჩეხსა და სლოვაკს დაირაზმონ მტკიცე ერთიან ეროვნულ ფრონტში, რომელიც გოტვალდის მთავრობას შეუქმნის მტკიცე დასაყრდენს და უზრუნველჰყოფს ყველა იმ ამოცანის განხორციელებას, რომლებიც გამომდინარეობენ რესპუბლიკის ინტერესებიდან, ჩვენი ეროვნული რევოლუციის საქმის დაცვის ინტერესებიდან, და უზრუნველჰყოფს სსრ კავშირთან და სხვა სლავურ სახელმწიფოებთან ჩვენი ძმური სამოკავშირეო ურთიერთობის შემდგომ დაცვას.

# საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია

**პარიზი**, 20 თებერვალი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ" 20 თებერვალს გამოაქვეყნა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს რეზოლუცია, რომელიც მიღებულია 19 თებერვალს შემდგარ სხდომაზე.

„პოლიტბიურომ მოისმინა ინფორმაცია ფასების სწრაფი ზრდის შესახებ,—ნათქვამია რეზოლუციაში,—რამაც მნიშვნელოვნად გააუარესა მშრომელთა მასების არსებობის პირობები. ბიურო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ასეთი მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობა მთავრობას აკისრია.

ფასების უკანონო გადიდებასთან ბრძოლის კანონპროექტს, რომელიც ფინანსთა მინისტრმა რენე მეიერმა შეიტანა, საბოლოო მიზნად აქვს ცდა მიჩქმალოს ეს პასუხისმგებლობა.

პოლიტიკურმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება — მოუწოდოს მშრომელებს განაგრძონ ენერგიული კამპანია სიძვირის პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაცა ახორციელებს მთავრობა, რომელსაც სურს დასცეს მუშების, გლეხებისა და საშუალო კლასების არსებობის დონე ქალაქებში იმისათვის, რომ უფრო მეტი მოგება ნახონ ტრესტებმა, რომელთა ინტერესებიც დაკავშირებულია დოლარის მაგნატების ინტერესებთან.

პოლიტიკურმა ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება—განაგრძოს ენერგიული საქმიანობა როგორც პარლამენტში, ისე მთელ საფრანგეთში, რათა მიაღწიოს სიძვირის, გაჩანაგებისა და სალატაკის მეიერის მიერ შედგენილი გეგმის გაუქმებას.

პოლიტიკურმა ბიურომ განიხილა საგარეო პოლიტიკის პრობლემები და კმაყოფილებით აღნიშნა ის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მშვიდობის ძალებისათვის, რაც იმ საბჭოთა დოკუმენტების გამოქვეყნების ფაქტმა გაუწია, რომლებიც ააშკარავებენ ისტორიის ფალსიფიკატორებს. ბიურო მშრომელებს მოაგონებს ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა მაქინაციებსა და პასუხისმგებლობას სწორედ იმ მომენტში, როცა ამერიკელი გენერალი ეიზენჰაუერი აშკარად ჰქადაგებს ომის გამომწვევ პოლიტიკას. ბიურო მოუწოდებს მშვიდობის დროშის ქვეშ მთელი საფრანგეთის ფართო მასების გაერთიანებისაკენ.

პოლიტიკურმა ბიურომ ზოგადი მონახაზით დაამტკიცა ტექსტი სიტყვისა, რომელიც ფრანსუა ბიიუმ უნდა წარმოსთქვას ეროვნულ კრებაში იმისათვის, რათა გამოააშკარაოს ბიდოსა და მთავრობის პოლიტიკა გერმანიის მიმართ. ეს პოლიტიკა არის არა მარტო სკანდალური უარის თქმა საფრანგეთის უფლებებზე რეპარაციების შესახებ, არამედ იგი საფრთხეს უქმნის აგრეთვე საფრანგეთის უშიშროებას და მას აქცევს ომის გამჩაღებელთა იარაღად, წინააღმდეგ ხალხის ნებისა, ვისთვისაც მშვიდობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის დაცვა უწმინდეს მოვალეობას წარმოადგენს".

# ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ზრდა

**პრაღა**, 18 თებერვალი. (საკდესი). როგორც გაზეთი „რუდე პრავო" იუწყება, თებერვლის 14 დღის განმავლობაში კომპარტიაში შევიდა 31,580 ახალი წევრი, მათ შორის 2,461 კაცი კომპარტიაში გადავიდა სახალხო-სოციალისტური პარტიიდან და 1,315—სახალხო პარტიიდან.

# გამოხმაურება ბელგიაში საბჭოთა კავშირთან სავაჭრო შეთანხმების ხელმოწერის გამო

**ბრიუსელი**, 20 თებერვალი. (საკდესი). ბელგიის დედაქალაქის ყველა გაზეთი დღეს პირველ გვერდებზე აქვეყნებს ცნობას საბჭოთა კავშირ-ბელგიის სავაჭრო შეთანხმებათა ხელმოწერის შესახებ.

გაზეთი „დრაპო რუჟი" სტატიაში, რომელიც მიძღვნილია შეთანხმებათა ხელმოწერისადმი, სწერს: „სსრ კავშირი არა მარტო გვიმტკიცებს, რომ მას შეუძლია მოამარაგოს ჩვენი ქვეყანა, არამედ ჩვენგან სანაცვლოდ დოლარებსაც არ მოითხოვს.

ყოველივე იმისათვის, რასაც ჩვენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ვყიდულობთ, დოლარები უნდა გადავიხადოთ. გარდა ამისა, ამერიკა თითქმის არაფერს არ ყიდულობს ბელგიაში, რის გამოც ოკეანეს გაღმა საქონლის საყიდლად ჩვენმა ქვეყანამ ვალები უნდა აიღოს და მიიღოს პირობები ამერიკელი ბიზნესმენებისა, რომლებიც ჩვენს ბაზარს მზა საქონლით ავსებენ.

სსრ კავშირს, პირიქით, სრულიადაც არა აქვს განზრახვა კონკურენცია გაუწიოს ჩვენს მწარმოებლებს. იგი შესაძლებლობას გვაძლევს საფასური გადავიხადოთ სხვადასხვა საქონლით, ელექტრომოწყობილობით და ფოლადის ნაგლინით.

ბელგიის მრავალი ქარხნის მუშებისათვის ეს ნიშნავს გარანტირებულ შრომას მრავალი თვის განმავლობაში; ეს პერსპექტივა მეტისმეტად გამამხნევებელია დღეს, როცა გასაღების პრობლემა მეტად მწვავე გახდა".

# ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა ანშანი დაიკავეს

**შანხაი**, 20 თებერვალი. (საკდესი). გომინდანური პრესის ოფიციალური ცნობით, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარებმა 19 თებერვალს მანჯურიაში დაიკავეს ანშანი.

ამრიგად, გომინდანელებმა სამი ქალაქიდან—მუკდენი-ანშანი-ბენსიხუ, დაკარგეს ორი ქალაქი, სადაც თავმოყრილია მანჯურიის სათბობ-მეტალურგიისა და მომპოვებელი მრეწველობის ძირითადი ნაწილი. გარდა ამისა, გომინდანელებს ეკარგებათ შესაძლებლობა მაშველი ძალები და საომარი მასალა ინკოუდან მუკდენში გაგზავნონ რკინიგზით და ამით მეტად ძნელდება იზოლირებული მუკდენის შემდგომი დაცვა.

# უნგრული პრესა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულების შესახებ

**ბუდაპეშტი**, 19 თებერვალი. (საკდესი). აქ უდიდესი კმაყოფილებით და სიხარულით შეხვდნენ მოსკოვიდან მიღებულ ცნობას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულების ხელმოწერის თაობაზე. გუშინ გვიან საღამოს ხელშეკრულების ტექსტს უნგრეთის რადიოთი გადასცემდნენ.

დღეს გაზეთების უმეტესობა ვრცელ კომენტარს უკეთებს ხელშეკრულებას და ერთსულოვნად აღიარებს მის ისტორიულ მნიშვნელობას. გაზეთი „საბად ნეპი" მოწინავეში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყოველ უნგრელს სიხარულისა და სიამაყის გრძნობას აღიძებს ცნობა „მსოფლიოს ყველაზე პროგრესულ, ყველაზე ძლიერ და ყველაზე ერთიან სახელმწიფოსთან" ხელშეკრულების ხელმოწერის შესახებ. ეს, — სწერს გაზეთი, — ყველაზე გადამწყვეტი მოვლენაა ახალი უნგრეთის განვითარებაში.

გაზეთი უპასუხებს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ურთიერთობის დასავლეთელ კრიტიკოსებს და სწერს: „ჩვენ საბჭოთა კავშირს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს სიცოცხლესა და თავისუფლებას. მაგრამ არა მარტო ჩვენ, არამედ ისინიც (დასავლეთელი კრიტიკოსები). ბევინი ამჟამად იწვევს ინგლის-ამერიკა-საფრანგეთის ერთობლივ კონფერენციას, რათა გერმანიის საკითხი საბჭოთა კავშირის მიერ მონაწილეობის მიუღებლად გადასჭრას. დაე დაფიქრდნენ ისინი, თუ რა იქნებოდა ამჟამად საფრანგეთისა და ინგლისის ადგილას, რამდენიმე წლის წინათ რომ საბჭოთა კავშირს პრაქტიკულად არ გადაეჭრა „გერმანიის საკითხი"?

მათ ეს დაივიწყეს, — სწერს შემდეგ გაზეთი, — ჩვენ კი — არა. და როცა ჩვენ ამჟამად ხელშეკრულებას ვდებთ და ვუკავშირდებით საბჭოთა კავშირს, სხვას არაფერს არ ვაკეთებთ, გარდა იმისა, რომ უზრუნველვყოფთ დღემდე მიღწეულ მონაპოვრებს, ჩვენს მომავალს, მშვიდობიანი განვითარების შესაძლებლობას, იმპერიალისტების კბილთა ღრჭენის დროსაც კი".

გაზეთი „კიშ უიშაგი" მოწინავე სტატიაში „ისტორიული ხელშეკრულება" აღნიშნავს, რომ „მოსკოვში ხელმოწერილი საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ უნგრეთის განვითარების ისეთ დონეს აღნიშნავს საერთაშორისო ვითარებაში და შინაური პროგრესის გზაზე, რომ იგი კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ უაღრესად დიდ მოვლენად".

უნგრეთის საგარეო პოლიტიკას, — სწერს შემდეგ გაზეთი, — შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი მიმართულება: საბჭოთა კავშირსა და მეზობელ დემოკრატიულ სახელმწიფოებთან თანამშრომლობის გულწრფელი, გადამჭრელი პოლიტიკა. ეს სახელმწიფოები მსოფლიოს ყველაზე მძლავრი სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის მეთაურობით თავისუფლებისმოყვარე ხალხების ნების გამომხატველი არიან. მათ სურთ უზრუნველჰყონ მტკიცე მშვიდობა მისი დარღვევის ყოველგვარი ცდის წინააღმდეგ და იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ.

გაზეთი „მადიარ ნემზეტი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის ხელშეკრულება „უნგრეთს ათავისუფლებს საგარეო პოლიტიკური იზოლაციის საფრთხისაგან და უნგრეთის პატარა სახელმწიფოს აყენებს ისეთი დიდი სახელმწიფოს მხარეზე, რომლისთვისაც უცნობია პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისები".

# პრაღიდან გაემგზავრნენ პოლონეთისა და იუგოსლავიის დელეგაციები

**პრაღა**, 19 თებერვალი. (საკდესი). გუშინ გვიან ღამით პოლონეთისა და იუგოსლავიის დელეგაციები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების თათბირში, პრაღიდან გაემგზავრნენ.

# ეირეს ახალი მთავრობა

**ლონდონი**, 19 თებერვალი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, ეირეს პარლამენტმა პრემიერ-მინისტრად აირჩია ჯონ ა. კოსტელო (პარტია ფინე გალი). ამრიგად, ახლანდელ საპარლამენტო არჩევნებში დამარცხებული ყოფილი მმართველი პარტია ფიანა ფოილი, რომლის ლიდერი დე ვალერა 16 წელიწადს სათავეში ედგა ეირეს მთავრობას, ოპოზიციაში გადადის.

შედგენილია ეირეს კოალიციური მთავრობა. მთავრობაში შედიან იმ პარტიების წარმომადგენლები, რომლებმაც საერთო ანგარიშით მანდატების უმეტესობა მიიღეს.

## თეატრებში

**22 თებერვალს:** ოპერისა და ბალეტის — „რიგოლეტო"; **რუსთაველის სახელობის**—„ერთი ღამის შეცდომები"; **მარჯანიშვილის სახელობის**—„მასკარადი"; **გრიბოედოვის სახელობის**—„ასეც იქნება"; **მოზარდ მაყურებელთა ქართული**—„ზღაპარი სიმართლეზე"; **რუსული**—„საგანგებო დავალება"; **მუსიკალური კომედიის**—„მსახიობის სიყვარული".

## კინოებში

**22 თებერვალს:** **„რუსთაველი", „კომკავშირელი"**—„ალიშერ ნავოი"; **„ოქტომბერი"**—„ოთხთა გული"; **„ამირანი"**—„სილვა"; **26 კომისრის სახელობის**—„ბრძოლა რელსებზე" (1 დარბაზი), „ალიშერ ნავოი" (2 დარბაზი); **„კოლმეურნე"**—„ცხოვრება ციტადელში"; **„ქრონიკა"**—„კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა".

მოქალაქე **ვასილ ალექსანდრეს-ძე ბუდიჩმა**, მცხოვრებმა ხეთაგუროვის ქ. № 68, აღძრა საქმე არსენალის ქ. № 29 მცხოვრებ მოქალაქე **ლიდა სერგოს ასულ ფეტისენკოსთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ალექსი ვასილის-ძე გიზუბმა**, მცხოვრებმა ათარბეგოვის ქ. № 32, აღძრა საქმე ქ. ლენინგრადში, სტრემიანის ქ. № 19-ში მცხოვრებ მოქალაქე **რახილ იაკობის ასულ ვიტკინასთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

# სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების მოქმედების გაგრძელება

1937 წელს საბჭოთა კავშირსა და ჩინეთის რესპუბლიკას შორის დაიდო ხელშეკრულება თავდაუსხმელობის შესახებ 5 წლის ვადით. ამ ხელშეკრულების მოქმედება განგრძობილ იქნა სამჯერ: 1942, 1944 და 1946 წლებში, მე-4 მუხლის შესაბამისად, ყოველთვის ორი წლით.

იმასთან დაკავშირებით, რომ არც საბჭოთა კავშირს და არც ჩინეთს დაწესებული ექვსი თვის ვადის გასვლამდე, რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით, არ გაუკეთებია განცხადება ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ, მისი მოქმედება ავტომატურად გაგრძელებულად ითვლება შემდეგი ვადისათვის—2 წლისათვის. (საკდესი).

# სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

შესდგა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი. სხვა საკითხთა შორის განხილულ იქნა ის საკითხი, თუ როგორ უნდა იქნას შეფარდებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის 14 დეკემბრის დადგენილება „ფულის რეფორმის გატარებისა და სასურსათო და სამრეწველო საქონელზე ბარათების გაუქმების შესახებ" ამ დოკუმენტის გამოცემამდე წარმოშობილი უფლებრივი ურთიერთობის გამო აღძრულ სასამართლო საქმეებში.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა დაადგინა: მიეცეთ სასამართლოებს მთელი რიგი სახელმძღვანელო მითითებანი.

პლენუმის გადაწყვეტილებით, გადასახდელები, რომლებიც სახელმწიფოს ერგება კერძო პირებისაგან (გადასახადები, სადაზღვევო და სხვა გამოსაღები), აგრეთვე ის თანხები, რომლებიც კერძო პირებისაგან ერგებათ სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, გადახდევინებულ უნდა იქნას, მიუხედავად ვალდებულების წარმოშობის დროისა, მანეთში მანეთის ანგარიშით.

მთელი ფულადი თანხები, რაც ცალკეულ პირებს სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისაგან ერგებათ და რაც მათ ახალი ფულის გამოშვებამდე არ მიუღიათ (გარდა 1947 წლის დეკემბრის პირველი ნახევრის ხელფასისა), უნდა მიეკუთვნოთ გადასახდელი თანხის ერთი მეათედის ანგარიშით.

ცალკეულ მოქალაქეთა შორის 1947 წლის 16 დეკემბრამდე წარმოშობილი უფლებრივი ურთიერთობის გამო წამოჭრილი დავის დროს სასამართლოებმა უნდა გადაახდევინონ კუთვნილი თანხები მანეთში მანეთის ანგარიშით.

სასამართლოთა ის გადაწყვეტილებანი მოქალაქეთა შორის დავის გამო, რომლებიც შესულია კანონიერ ძალაში, მიუხედავად უფლებრივი ურთიერთობის წარმოშობის დროისა, სისრულეში მოყვანილ უნდა იქნას მანეთში მანეთის ანგარიშით.

თუ ფულადი თანხები მიკუთვნებულია დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების ან კერძო პირებისაგან განსაზღვრული ქონების ღირებულების ასანაზღაურებლად, იმ შემთხვევაში, როცა ქონების ფასი, რომელიც უფლებრივი ურთიერთობის წარმოშობის მომენტში არსებობდა, აშკარად არ შეესაბამება იმ ფასს, რომელიც არსებობს საქმის განხილვის მომენტში, ხოლო სასამართლოს მიერ უკვე გადაწყვეტილი საქმეების გამო — გადაწყვეტილების შესრულების მომენტში, სასამართლოს შეუძლია განსაზღვროს ის თანხა, რაც მოპასუხეს უნდა გადახდეს, სადავო ქონების ღირებულების შესაბამისად არსებულ ფასებში. (საკდესი).

## ხელოვნების ქრონიკა

### „დაგვიანებული სინანული"

გიორგი ერისთავის სახელობის გორის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს უჩვენა გ. ქელბაქიანის პიესა „დაგვიანებული სინანული". პიესა დადგა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პ. ფრანგიშვილმა.

როლებს ასრულებენ: თ. ერისთავი, ნ. ჩეროზაშვილი, თ. აბაშიძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), შ. ხაჯალია, ი. კალანდარიშვილი და სხვ.

### „რევაზ პირველი"

ჭიათურის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა ვ. კანდელაკის „რევაზ პირველი". სპექტაკლი დადგა რეჟისორმა მ. ვაშაძემ, მხატვრულად გააფორმა მ. აბჯანდაძემ.

მონაწილეობენ მსახიობები: გ. ტყაბლაძე, მ. ვაშაძე, გ. ნუცუბიძე (რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი), ვ. ვაშაძე, მ. კუსიანი, ა. დათებაშვილი, ნ. ყიფშიძე, ბ. დერმიშიძე, თ. ლოლაძე, შ. ბანეთიშვილი, ქ. ქამუშაძე და სხვები.

**25 თებერვალს, 7 საათსა და 30 წუთზე საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში (რუსთაველის პროსპექტი № 33) შესდგება სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კ. მარქსისა და ფ. ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ასი წლისთავისადმი.**

**დღის წესრიგი:**

**პ. ა. შარია — შესავალი სიტყვა: „კომუნისტური პარტიის მანიფესტის", როგორც მეცნიერული კომუნიზმის საპროგრამო დოკუმენტის მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა;**

**ი. მირცხულავა — პროლეტარიატის დიქტატურის საკითხი „კომუნისტური პარტიის მანიფესტში";**

**ა. ქუთელია — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფილოსოფიურ შეხედულებათა განვითარება „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" შექმნამდე;**

**ა. კიკვიძე — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" ი. ბ. სტალინის ადრინდელ ნაწარმოებებში;**

**ლ. გორგილაძე — „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" გავლენა საქართველოს მოწინავე საზოგადოებრივ აზრზე XIX საუკუნის მეორე ნახევარში.**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზ. ნანიტაშვილი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის დირექცია აცხადებს, რომ ა. წ. 5 მარტს, დღის 2 საათზე, ბოტანიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე (საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორია, შესავალი ფურცლაძის ქუჩიდან) ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად ბოტანიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი **იოსებ ივანეს-ძე ვაჩნაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მთიან ტყეებში ბიო-ეკოლოგიური პირობების ცვალებადობა ჭრის სისტემებთან დაკავშირებით".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **ვ. ზ. გულისაშვილი** და სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი ე. ბ. ჯიქია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ბოტანიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (კოჯრის გზატკეცილი).

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი იუწყება **ოლღა ფილიმონის ასულ შომახიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-II, 2 ს. ჭავჭავაძის, 9.

შვილები თამარ, მანია, გრიგოლ. სიძე ნიკოლოზ სოხაძე იუწყებიან **ტერეზა (ჩათუ) ასლანის ასულ ზარქუას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ზუგდიდში.

ქეთო და ვლადიმერ რუხაძეები შვილით ავთანდილით იუწყებიან **სონია ვლადიმერის ასულ რუხაძე-ხორბალაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-II, 2 ს. ჯავახიშვილის, 4.

სამედიცინო ინსტიტუტის ენების კათედრა იუწყება **სალომე მანუჩარის ასულ ნანეიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-II სამტრედიაში.

დოდო და ნიკოლოზ რუხაძეები ოჯახით იუწყებიან **სოფიო ვლადიმერის ასულ რუხაძე-ხორბალაძის** გარდაცვალებას.

ტრესტ „საქგემმრეწმშენის" თანამშრომლები იუწყებიან **სოფიო ვლადიმერის ასულ რუხაძე-ხორბალაძის** გარდაცვალებას.

ტრესტ ჰიდროენერგოპროექტის თბილისის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან **ალექსანდრე ივანეს-ძე გლურჯიძის** გარდაცვალებას.

„საქსოფლელექტროს" ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან **ავთანდილ სოლომონის-ძე თაყაიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-II, 3 ს. გოგებაშვილის, 30.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ფედოსია გრიგოლის ასულ ჩაგუნავას** გარდაცვალებას.

საქართველოს ელექტრო-ქსელების მშენებლობის სამმართველოს კოლექტივი იუწყება **ალექსანდრე ივანეს-ძე გლურჯიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 22-II, 2 ს. წულუკიძის, 8.

მ. კაჭარავა, ნ. ქოიავა, თ. ჰანტურია, ქ. ჩაჩავა, თ. ბახტაძე, მ. კაჭარავა, ო. ჯანელიძე, ც. ჰანტურია, ლ. ქოიავა იუწყებიან **ოლღა ფილიმონის ასულ შომახიას** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3.08.67, სამდივნოსი—3.06.88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3.82.05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3.81.84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი — 3.80.83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3.80.84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3.73.24, მორიგისა და გამომშვების — 3.81.65, გამომცემლობის —3.51.81, სტამბის დირექტორის—3.77.70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110,000 ფე 00019